# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდ-ვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურ-თის გატანა ყველა უპატიოსნობაზე უსაძაგლესია.

ხუთშაბათი, 26 აგვისტო. 2021 წ. №171 (9290) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი




# წინასწარ წაგებული ოპოზიცია არჩევნების გადადებას ითხოვს!



„ღარიბაშვილმა პირადი რეიტინგი მოკლე დროში გაზარდა, რეგიონალური განვითარების თვალსაზრისითაც სერიოზული სიტყვა თქვა და რა გასაკვირია, რომ წინასაარჩევნო კამპანიას ხელმძღვანელობდეს“!

③

## კახა კუჭავა: ნუ ნერვიულობთ, კობახიძე შტაბს ხელმძღვანელობს და თავდაუზოგავად შრომობს!..

ირაკლი ღარიბაშვილი:

## ნინო ლომჯარიას ინიციატივა არის „ნაციონალების“ გეგმის ნაწილი, ჩვენ ამ მარტივ ② პროვოკაციაზე არ წავყვებით...

ლევან ლორთქიფანიძე:

## „ოცნება“ ხალხის დასანახავად შფოთავს, ④ თუმცაღა იცის, რომ ყოველთვის გაიმარჯვებს!

## წააგებს ყველა, ვისაც არასწორი აგრარული ⑤ პოლიტიკა აქვს!

დავუბრუნოთ მთას თავისი ბუნებრივი ფუნქცია

მიძინება ყოვლადწმიდისა დედუფლისა ჩვენისა ღმრთისმშობელისა და მარადის ქალწულისა მარიამისა. მარიამობა.



## მოსკოვის ზღაპრები თბილისისთვის და სიზმრები ⑧ აფხაზეთისთვის...

## არავის აქვს უფლება, მოსახლეობაში ტოტალური ⑥ შიში დანერგოს!

## პანდემიამ ქვეყანა ⑦ გააღატაკა!

# სამთავრობო გუნდი სვანეთის აღორძინებისთვის ზრუნავს

**პრემიერ-მინისტრი სვანეთს ეწვია, სადაც მესტიაში „ქართული ოცნების“ მერობის კანდიდატად კაპიტონ ჟორჟოლიანი წარადგინა**

**ბოლო წლებში ბევრი რამ გაკეთდა მესტიის მუნიციპალიტეტში, ბევრი პროექტი დაფინანსდა, ჩვენ ვისაუბრეთ და ჩვენს უხუცესებს დავპირდი, რომ წელსვე დაიწყება ჰაწვალის ახალი საბაგიროს მშენებლობა, ვიცი, რომ პრობლემები იყო მანამდე,** — ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა კანდიდატის წარდგენისას განაცხადა.

**„ჰაწვალზე 10 წელი იმუშავა საბაგირომ, რომელიც მანამდე იყო დამონტაჟებული და როგორც ჩანს, უვარგისი ან ნახმარიც იყო ჩამოტანილი. ამას მნიშვნელობა აღარ აქვს, გავაკეთებთ ახალ, ძალიან გამართულ საბაგიროს. თეთნულდზეც გარკვეული პრობლემებია, იქაც ჩავუტარებთ რეაბილიტაციას. ჩვენ ასევე ვისაუბრეთ იმის თაობაზე, რომ ლაღამის უბნის რეაბილიტაციას იწყებს მთავრობა. ეს არის 33-მილიონიანი პროექტი, რომელიც ახალი ტურისტული მიზიდულობის ცენტრს გააჩენს ამ ულამაზეს მხარეში. ასევე, ჩემი დავალებით ვმუშაობთ, რომ მესტიაში ახალი ცენტრალური პროექტი მოეწყოს, 5-6 მილიონი დაიხარჯება ამ პროექტის განსახორციელებლად, რა თქმა უნდა, მიმდინარეობს გზების მშენებლობა. ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა, რაც არის უშგულის გზა, 2022 წელს დავასრულებთ და მთლიანად ლენტეხი-მესტიის დამაკავშირებელი გზა, რომელიც ჯდება 100 მილიონი ლარი, დასრულდება მაქსიმუმ 2 წელიწადში. ასე, რომ ჩვენ განვითარება უნდა შევიტანოთ ყველა ქალაქსა და მუნიციპალიტეტში. ჩვენ არ შევაფერხებინებთ და არ შევაჩერებინებთ ჩვენი ქვეყნის წინსვლას და განვითარებას. მთავრობას აქვს მკაფიოდ ჩამოყალიბებული ხედვა, იგივე სოფლის მეურნეობის მიმართულებით ვგეგმავთ 7 მილიარდი ლარის ინვესტირებას, ადგილობრივი წარმოების განსავითარებლად ვგეგმავთ 2,5 მილიარდის ინვესტირებას, მარტო მესტიაში ბოლო პერიოდში 14 ახალი სასტუმრო დაფინანსდა, თანადაფინანსება განახორციელა ეკონომიკის სამინისტრომ. ძალიან ბევრი ახალი, მათ შორის მცირე და მიკროსაწარმო დაფინანსდა, 330-ზე მეტი პროექტი. ამ ყველაფერს სჭირდება შენარჩუნება და კიდევ უფრო გაათმაგებული ტემპებით განვითარება. განვითარება, შრომა და მუშაობა უნდა იყოს ჩვენი მთავარი საზრუნავი. დანარჩენს ჩვენი გუნდი მიხედავს. ჩვენ არავის მივცემთ დესტაბილიზაციის და პროვოკაციის მოწყობის საშუალებას. ქვეყანას და ჩვენს ხალხს სჭირდება მშვიდობა, სტაბილურობა და განვითარება და რაც სჭირდება ჩვენს ხალხს, ის ექნება“,** — განაცხადა პრემიერმა.




## ირაკლი ღარიბაშვილი:

# ნინო ლომჯარიას ინიციატივა არის „ნაციონალების“ გეგმის ნაწილი, ჩვენ ამ მარტივ პროვოკაციაზე არ წავყვებით...

**გუშინ დაიწყეს აჟიოტაჟი, იციან რა, რომ სასტიკად მარცხდებიან ყველა მუნიციპალიტეტში, ყველა ქალაქში, ე.წ.-მა ოპონენტებმა და ოპოზიციამ, დაიწყეს საუბარი, ხომ არ გადავდოთ არჩევნები და ამისთვის გამოიყენეს სახალხო დამცველის ინსტიტუტი. ქალბატონი ნინო ლომჯარია გამოვიდა ინიციატივით — მივმართავ პრემიერს, იქნებ შემოიღოს საგანგებო მდგომარეობა, რაც ავტომატურად გამოიწვევს არჩევნების გადადებას,** — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მესტიაში, „ქართული ოცნების“ მერობის კანდიდატის კაპიტონ ჟორჟოლიანის წარდგენისას განაცხადა.

მთავრობის მეთაურის შეფასებით, ეს „ნაციონალების“ მიერ შემუშავებული გეგმის ნაწილია.

**„ჩვენ, რა თქმა უნდა, ამ მარტივ პროვოკაციაზე არ წავყვებით, არჩევნები ჩატარდება და „ქართული ოცნება“ გაიმარჯვებს. ყველა ქვეყნის გამოცდილება ვნახეთ, აშშ-ის, ევროპის ქვეყნების, აზიის, ყველგან. კოვიდპანდემიის დროს, მაშინ, როდესაც ჯერ კიდევ არ იყო შემოსული ვაქცინა, არავის მოსვლია აზრად არჩევნების გადადება. ერთადერთმა აფრიკელმა დიქტატორმა, უბრალოდ გააუქმა არჩევნები. თუ ამას გვთავაზობს „ნაცმოძრაობა“ და სააკაშვილი, არ გაგვიკვირდება, რადგან ჩვენ ვიცით მათი ხელწერა. ამიტომ, მინდა, კიდევ ერთხელ ყველას მოგიწოდოთ, ეს სიმშვიდე შევინარჩუნოთ, მივყვეთ სტაბილურად ჩვენს გეგმას, ჩვენს დღის წესრიგს, არ შევაფერხოთ არც მშვიდობიანი განვითარება, არც სტაბილურობა და ხელი შევუწყოთ ვაქცინაციას“,** — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

* * *

**როგორ შევინარჩუნოთ სწრაფი ეკონომიკური ზრდის ტემპი — მთელმა მსოფლიომ გამოცადა, ნახეთ, რა ხდება აშშ-ში, ეკონომიკა სწრაფი ტემპით იზრდება, თუმცა, ინფიცირებულების რაოდენობა არის ასევე ძალიან მაღალი, დღეში აქვთ 100 ათასი შემთხვევა, მაგრამ აშშ-ის მთავრობაც, ევროპის ქვეყნების ლიდერებიც, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ხელმძღვანელები და თქვეს, რომ ქვეყნები აღარ ჩაიკეტება,** — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

მთავრობის მეთაურის თქმით, შეიძლება, წერტილოვანი, ლოკალური შეზღუდვები დაწესდეს, მაგრამ ქვეყნის და ეკონომიკის გაჩერების ფუფუნება არ გვაქვს.

**„ამის გაკეთების უფლება არ აქვს აშშ-ს, ნომერ პირველ, ყველაზე ძლიერ სახელმწიფოს, არ აქვს ამის ფუფუნება გერმანიას, ევროპის დედაქალაქებს, დიდ ბრიტანეთს და ა.შ. ჩვენ, მით უმეტეს, ჯერ კიდევ ღარიბმა და ძალიან მცირე ეკონომიკის ქვეყანა, როგორ შეიძლება, განვიხილოთ მკაცრი ლოკდაუნები. ის ადამიანები, რომლებიც 6 თვის წინ აგრესიულ კამპანიას აწარმოებდნენ, რომ გაგვეხსნა ეკონომიკა, დღეს გამოდიან, რომ ჩავკეტოთ ეკონომიკა. ჩაკეტვაზე ადვილი რა არის?! ვერც ამაში გვაჯობებენ, გვაქვს ამის გამოცდილება“,** — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

* * *

**ყველას ვეუბნები, ჩვენი მთავრობა, ჩვენი პოლიტიკური გუნდი, ვიღებთ პასუხისმგებლობას არჩევნების აბსოლუტურად გამჭვირვალე, თავისუფალ და კონკურენტულ პირობებში ჩატარებაზე. მაქსიმალურად მეტი დამკვირვებელი უნდა ჩამოვიდეს იმისთვის, რომ არცერთი კითხვა არ დარჩეს პასუხგაუცემელი. ეს უნდა იყოს ჩვენი მთავარი ამოცანა და გამოწვევა, რომელიც ჩვენ მივიღეთ და გვესმის, ვისთან გვაქვს საქმე. ასევე, ჩვენ გვჭირდება მობილიზება — ჩვენს ამომრჩეველს, კოორდინატორებს, აქტივისტებს, რომ არავის მივცეთ რაიმე სახის პროვოკაციის განხორციელების საშუალებას. არჩევნები ჩატარდება მაქსიმალურად მშვიდ და თავისუფალ, გამჭვირვალე პირობებში. ამას გარდა, მე გამოვედი ინიციატივით და ჩვენი პოლიტიკური გუნდი სრულად გვიჭერს მხარს, ჩვენი პარტია და ასევე ცესკო გამოეხმაურა ამ ინიციატივას, რომ არჩევნები ჩატარდეს კოვიდუსაფრთხო გარემოში. ჩვენ დავიწყეთ და მაქსიმალურად დავაჩქარეთ ვაქცინაციის ტემპები და დავუწყეთ კოორდინატორების, მერების, ყველა კანდიდატის აცრა და ეს ჩვენი პარტიით დავიწყეთ. ჩვენ ცესკოს შევთავაზეთ ვაქცინაციის გაფართოება და თითოეული თანამშრომლის ჩართულობა ამ პროცესში, რაც საკმაოდ წარმატებულად მიმდინარეობს“,** — აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა.



# სიმართლე კი ასეთია!

## ჟურნალისტ ვახო სანაიაზე თავდასხმაში ბრალდებულებს 6-თვიანი პატიმრობა მიესაჯათ...

**თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ ჟურნალისტ ვახო სანაიაზე თავდასხმაში ბრალდებული სამივე პირი — ვაჟა გიგაური, სულიკო საყევარაშვილი და გიორგი სახელაშვილი დამნაშავედ ცნო.**

სასამართლომ მათ 6-თვიანი პატიმრობა შეუფარდა, თუმცა პატიმრობის ვადა უკვე ამოიწურა. ამიტომ მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, სამივე პირი დღესვე გათავისუფლდება.

ვახო სანაიაზე თავდასხმის ფაქტზე შინაგან საქმეთა სამინისტრომ სამი ადამიანი დააკავა. გამოძიებით დადგინდა, რომ ნასვამ მდგომარეობაში მყოფებმა ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, ჯგუფურად, ფიზიკურად იძალადეს ჟურნალისტსა და მისი მეუღლის ნათესავზე.

# მამუკა მდინარაძე: თქვენ ითხოვთ ისეთ რეპრესიებს, როგორიც „ნაცმოძრაობის“ დროს იყო



„ქართული ოცნების“ აღმასრულებელი მდივნის მამუკა მდინარაძის განცხადებით, სასამართლოს გადასაწყვეტია, რა სასჯელს გამოუტანს ის ჟურნალისტ ვახო სანაიას თავდასხმის საქმეზე ბრალდებულ პირებს, თუმცა ცუდია, როდესაც ჟურნალისტები სასამართლოს დისკრედიტაციის მიზნით არასწორ ინფორმაციას ავრცელებენ.

**„მე არ ვიცი დეტალები და რადგან თქვენს ინფორმაციას უნდა დავეყრდნო, არ შემიძლია გავაკრიტიკო სასამართლო. თუ ეს პირები გამართლდნენ, ეს შეიძლება არ იყოს სწორი გადაწყვეტილება, მაგრამ არ გამოვრიცხავ, რომ თქვენ ახლა მატყუებდეთ და გამამართლებელი განაჩენი არ იყოს დამდგარი“,** — განაცხადა მდინარაძემ ჟურნალისტის კითხვის საპასუხოდ. მისივე თქმით, შესაძლოა სასამართლომ ბრალდებულებს რაღაც სასჯელი შეუფარდა, მაგრამ მათ ეს პერიოდი უკვე გატარებული აქვთ საპატიმროში.

**„ამ შემთხვევაში თქვენ ითხოვთ ისეთ რეპრესიებს, როგორიც „ნაცმოძრაობის“ დროს იყო. ნებისმიერ შემთხვევაში, ეს საკითხი სასამართლოს გადასაწყვეტია და სასამართლოს გადაწყვეტილების კრიტიკას მაინც არ ვაპირებ. ზუსტად ერთი წუთის წინ „ფორმულას“ ჟურნალისტმა მითხრა, რომ ისინი გამართლდნენ, ახლა კი აღმოჩნდა, რომ დამნაშავედ ცნეს. თქვენ გაქვთ ინტერესი, რომ სასამართლოს დისკრედიტაცია მოხდეს. საკმარისია თუ არა 6 თვე, ეს არც მე შემიძლია განვსაჯო და არც თქვენ, ეს არის სასამართლოს განსასჯელი. უბრალოდ ძალიან ცუდია, რომ სუბიექტურად არასწორ ინფორმაციას მაწვდით“,** — განაცხადა მდინარაძემ ჟურნალისტებთან საუბარში. ჟურნალისტ ვახო სანაიაზე თავდასხმაში ბრალდებულებს სასამართლომ ექვსთვიანი პატიმრობა მიუსაჯა, ამ ვადის ამოწურვის გამო, ისინი საპატიმროს გუშინვე დატოვებდნენ.

# მაჩალიკაშვილი - ნაცების მაჟორიტარობის კანდიდატი

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოში „ნაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტარობის კანდიდატი სოფელ დუისიდან მალხაზ მაჩალიკაშვილი იქნება. ინფორმაცია ჟურნალისტებთან საუბარში პარტიის ლიდერმა ნიკა მელიამ დაადასტურა.

**„ხომ იცით, რომ იქნება? თქვენც უნდა იყოთ. ყველა უნდა იყოთ და ყველა კანდიდატი ხართ. ყველანი ბრძოლის ავანგარდში დგახართ, ვისაც ეს ქვეყანა გვიყვარს, ამ ქვეყნის მომავლის არსებობა მოგვენატრა და არა ღრმა ჭაობში ყოფნა. ყველა ადამიანი არის თანასწორი და როგორ არ უნდა იყოს. ყველა უნდა იყოს ბრძოლის წინა ხაზზე“,** — განაცხადა ნიკა მელიამ.



# კახა კუჭავა: ნუ ნერვიულობთ, კობახიძე შტაბს ხელმძღვანელობს და თავდაუზოგავად შრომობს!..



**არჩევნების წინა ხაზზე პრემიერი ირაკლი ღარიბაშვილი იმყოფება და რამდენიმე დღეა უკვე პარტიის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე საჯაროდ აღარ გამოჩენილა. ამ ფაქტმა ოპოზიციას მისცა იმის მტკიცების საშუალება, რომ „ქართულ ოცნებაში“ დაპირისპირებაა და ირაკლი კობახიძე თამაშიდან გაიყვანეს. ისიც ფაქტია, რომ კანდიდატების რეგიონებში წარდგენისას მხოლოდ პრემიერი იმყოფება. დიდი ხანია თვალს მიეფარა პარტიის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე. ხოლო სლოგანით – „განვითარება ყველა რეგიონს“ პრემიერმა თითქმის მთელი საქართველო მოიარა და ბოლო კვირებში მრავალჯერ გაიმეორა, რომ ხელისუფლებას უკვე აქვს „ხელშესახები და რეალური მიღწევები ყველა მიმართულებით“ და კვლავაც განვითარების გზით აპირებს სვლას...**

**პრემიერი ცდილობს, ხალხი ოპტიმისტურად განაწყოს, დაარწმუნოს, რომ სამომავლოდ ყველაფერი გამოსწორდება, რომ „ოცნებას“ ალტერნატივა არ ჰყავს და, რომ ხელისუფლების მთავარი ამოცანა იქნება – „მუშაობა, მუშაობა და მხოლოდ მუშაობა“. რა ხდება რეალურად და რატომ აღმოჩნდა პრემიერი წინასაარჩევნო კამპანიის სათავეში? ამაზე ანალიტიკოსებს ერთმნიშვნელოვანი განმარტება აქვთ: „ოცნებამ“ ადგილობრივი არჩევნებისთვის გარკვეული ტაქტიკა შეიმუშავა. გამომდინარე იქიდან, რომ კობახიძე საარჩევნო შტაბს ხელმძღვანელობს და ეს დიდ პასუხისმგებლობასთან არის დაკავშირებული, გადაწყდა, რომ საარჩევნო კამპანია ღარიბაშვილმა წარმართოს. ამასთანავე, გასაკვირი არაა ის ფაქტიც, რომ პრემიერს პარტიის შიგნითაც და გარეთაც მხარდამჭერებთან უფრო მეტი გავლენა აქვს, ვიდრე კობახიძეს.**

**ექსპერტები ფიქრობენ, რომ ღარიბაშვილს შეუძლია „ოცნებას“ ძველი ის ამომრჩეველი ნაწილობრივ მაინც დაუბრუნოს, რომელთან ერთადაც ხელისუფლებაში 2012 წელს მოვიდა.**

**თავად მმართველ გუნდშიც ამბობენ, რომ ეს ყველაფერი პარტიის ხელმძღვანელობასთან და პოლიტსაბჭოსთან გავლილია. გუნდი ერთიანია და არანაირი დაპირისპირება არ არსებობს. პარლამენტის თავმჯდომარე კახა კუჭავა მედიას პასუხობს, რომ კობახიძე არსად წასულა და პარტიაში არანაირი დაპირისპირება არ არსებობს: „ნუ ნერვიულობთ, კობახიძე ოფისშია, შტაბს ხელმძღვანელობს და ყოველთვის იქნება ხელმისაწვდომი, როცა საჭირო გახდება“.**

## „ღარიბაშვილმა პირადი რეიტინგი მოკლე დროში გაზარდა, რეგიონალური განვითარების თვალსაზრისითაც სერიოზული სიტყვა თქვა და რა გასაკვირია, რომ წინასაარჩევნო კამპანიას ხელმძღვანელობდეს“!

საპარლამენტო უმრავლესობის წევრი **გივი მიქანაძე** კი განმარტავს, რომ კობახიძეს და ღარიბაშვილს შორის არანაირი დაპირისპირება არ არსებობს. ეს არის ოპოზიციის მიერ მოგონილი ტყუილი, რომელიც საკუთარი უნიათობის გადასაფარად სჭირდებათ. მიქანაძე გვიხსნის, რომ საქმე ძალიან მარტივად და გასაგებად არის. ირაკლი კობახიძე შტაბის უფროსია, რომელსაც დიდი პასუხისმგებლობა აკისრია. ამიტომ გუნდთან შეთანხმებით გადაწყდა, რომ ვალდებულებები გადანაწილებულიყო და წინასაარჩევნო კამპანიისთვის პრემიერს და პარლამენტის თავმჯდომარეს ეხელმძღვანელათ.

**„შესაბამისად, ხედავთ ყველა წარდგენაზე სწორედ ისინი არიან. მერობის კანდიდატებს და ასევე საკრებულოს მაჟორიტარობის კანდიდატებს საზოგადოებას აცნობენ. ამაში დიდი ფილოსოფია და რამე თეორიები არ იკითხება. მუნიციპალიტეტსა და ქალაქშიც ჩადიან, მაგრამ ეს აქტივობები, რა თქმა უნდა, წინასწარ შეთანხმებული და გავლილია პარტიის ხელმძღვანელობასთან. ირაკლი კობახიძე ამ ყველაფერზე საქმის კურსშია და შეთანხმება ერთობლივად არის მიღებული. თითოეული გუნდის წევრი, ყოველდღიურ რეჟიმში, შტაბის ერთიან ხელმძღვანელთან ირაკლი კობახიძესთან კოორდინაციაში ვართ. გუნდი არ ყოფილა ასე ერთიანი არასდროს, როგორც ახლაა, მინდა დაგარწმუნოთ. ამიტომ სანერვიულო არაფერია. ჩემს ოპონენტებს კიდევ ვურჩევდი მთელი კონცენტრაცია საკუთარ გეგმებზე და საარჩევნო კამპანიაზე მოახდინონ“,** – განაცხადა გივი მიქანაძემ.

* * *

ანალიტიკოსი **დავით ქართველიშვილი** აბსოლუტურად ლოგიკურს უწოდებს იმ ფაქტს, რომ „ქართულმა ოცნებამ“ წინასაარჩევნო კამპანიის ჩასატარებლად პირველ ხაზზე პრემიერი ირაკლი ღარიბაშვილი გაუშვა. ქართველიშვილი ამბობს, რომ პოლიტსაბჭოში წინასაარჩევნო აქტიურობის თვალსაზრისით, როლები გადანაწილდა და არანაირი დაპირისპირება პოლიტსაბჭოში არ არსებობს.

**„ირაკლი ღარიბაშვილმა ძალიან მოკლე დროში რეგიონალური განვითარების თვალსაზრისით, სერიოზული სიტყვა თქვა, ასევე საგარეო პოლიტიკის მიხედვით ქვეყანა საკმაოდ წარმატებულ ვიზიტებს მართავს და ჩვენი აქტიურობა კიდევ უფრო გაზრდილია. გასაკვირი არაა, რომ ასეთი ადამიანი პარტიის გადაწყვეტილებით წინასაარჩევნო კამპანიას უნდა ხელმძღვანელობდეს. ღარიბაშვილმა სულ რამდენიმე თვეში პირადი რეიტინგი გაზარდა. ამიტომაც რა გასაკვირია, „ოცნებამ“ ჩათვალა, რომ ის არის ადამიანი, რომელიც არჩევნების პროცესს უნდა წარუძღვეს. თანაც დასაძრახისი და სასირცხვილო იმაშიც არაფერია, რომ ღარიბაშვილი ძველი გუნდის სახეს წარმოადგენს და ამით პარტიას ძველი მხარდამჭერების დაბრუნება უნდა. კი ბატონო, ღარიბაშვილი ის ფიგურაა, რომელიც ამ ადამიანების მობილიზებას შეძლებს. მას პატივს სცემენ და რატომაც – არა. ამაში რაიმე საგანგაშოს ვერაფერს ვხედავ. ღარიბაშვილმა უკრაინის და საქართველოს შორის ბოლო წლების განმავლობაში აღმართული კედელი გაარღვია და ძალიან მნიშვნელოვან ცვლილებებსაც მივაღწიეთ. ასევე თურქეთში მისი ვიზიტი ყველაზე წარმატებული იყო. მას ერდოღანი იმდენად პომპეზურად და განსაკუთრებულად დახვდა, რომ მე მგონი ასეთი ვიზიტი ჩვენს რეგიონში ამ ქვეყანაში არავის ჰქონია. ამიტომაც პრემიერი არის მნიშვნელოვანი ფიგურა და „ოცნება“ ამ შესაძლებლობას იყენებს“,** – ამბობს ქართველიშვილი.

* * *

**ვახტანგ ძაბირაძესაც** მიაჩნია, რომ ირაკლი ღარიბაშვილის წინასაარჩევნო აგიტაციაში აქტიურად ჩაბმა და, ფაქტობრივად, მისი ხელმძღვანელობა ტაქტიკური გათვლაა. ძაბირაძე გუნდში არსებულ რაიმე დაპირისპირებას არ გამორიცხავს, თუმცა მაინც ფიქრობს, რომ ახლა არჩევნებია და „ოცნებაში“ რა დინებებიც არ უნდა მიდიოდეს, მაინც ყველას გამარჯვება უნდა. ამიტომაც ირაკლი კობახიძის საჯარო სივრციდან გაყვანა რაიმე ნოუჰაუ არ არის და არც კატასტროფაა. მისი აზრით, ღარიბაშვილს „ოცნების“ ამომრჩეველში უფრო მეტი რეიტინგი აქვს, ვიდრე ირაკლი კობახიძეს. ის ნეიტრალურ ამომრჩეველშიც იმ დონის გაღიზიანებას არ იწვევს, როგორიც შეიძლება კობახიძემ გამოიწვიოს. მსგავსი ტაქტიკა ადრე „ნაციონალებმა“ გიგა ბოკერიას გადამალვით გამოიყენეს.

**„იმ ტაქტიკას, რასაც ახლა „ოცნება“ იყენებს, გასაკვირი არ არის და არ მგონია, რამე სასწაული ხდებოდეს. ჩვეულებრივი ტაქტიკური სვლაა, წინა პლანზე გამოჰყავთ ის ადამიანი, რომელსაც ახლა ხელისუფლებაში ყველაზე მეტი რეიტინგი აქვს. კობახიძეს სხვა როლი აკისრია. ის არის ადამიანი, რომელიც საარჩევნო შტაბს ხელმძღვანელობს და ასევე ძალიან ბევრი საქმე აქვს. ეს არის ენით აღუწერელი შრომა, რომელიც დიდ დროს მოითხოვს. მეორეც ღარიბაშვილს გუნდში მეტი გავლენა აქვს, ვიდრე მას. მას ძველი თაობის წარმომადგენლები უფრო უსმენენ, ვიდრე კობახიძეს.**

**ასევე არის მინიშნება იმაზე, რომ ღარიბაშვილის უკან ივანიშვილი დგას. ეს განცდა „ოცნების“ ამომრჩეველში უფრო მეტად ჩანს. თანაც ღარიბაშვილი ქვეყნის პირველი პირია და ეს დაპირებების გაცემა უშუალოდ მისგან უფრო დამაჯერებლად ჟღერს, ვიდრე კობახიძისგან. ზოგადად, საქართველოში ასეა, ამომრჩევლიც და პარტიის ლიდერებიც მხოლოდ ერთ ადამიანს უყურებენ. „ოცნების“ შემთხვევაში ეს ისევ ივანიშვილია, „ნაციონალების“ კი – სააკაშვილი. ამიტომ, რაც ხელისუფლებაში ხდება, იგივე მოვლენები ოპოზიციურ სპექტრში ვითარდება. აქ გასაკვირს და საგანგაშოს ვერაფერს ვხედავ“,** – ამბობს ძაბირაძე.

**ლიკა ბერიკაშვილი**

## ირაკლი კობახიძე: ოპოზიცია დასუსტებულია და პარტიების უმეტესობას არჩევნების გადადება აწყობს

**„ამის შედეგია ის კამპანია, რომელიც ახლა წამოიწყეს. ის ნაკარნახევია მათი პოლიტიკური ინტერესებით და არავითარი საფუძველი არ აქვს. ვურჩევთ მათ, შეეგუონ მარცხს და მოემზადონ არჩევნებისთვის. რა თქმა უნდა, კოვიდი არის გამოწვევა, განსაკუთრებით ის სტატისტიკური მონაცემები, რომლებიც ახლა ფიქსირდება, თუმცა საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების არავითარი საფუძველი არ არსებობს – ასეთია სამართლებრივი მოცემულობა“,** – აცხადებს კობახიძე.

ნინო ლომჯარია: დღეს, როდესაც 60-70-ზე მეტი გარდაცვლილი გვყავს დღის განმავლობაში, რას უნდა ველოდოთ, რომ უფრო მკაცრი რეგულაციები იყოს შემოღებული ან რატომ არავინ მსჯელობს, მე იგივე პრეტენზია მაქვს ოპოზიციასთანაც, რატომ არავინ მსჯელობს, შეიძლება თუ არა თუნდაც ასეთ ვითარებაში არჩევნების ჩატარება.



## მამუკა მდინარაძე: არ მინდა, ნინო ლომჯარიას დავაბრალო, რომ „ნაცმოძრაობის“ გარე სპიკერი და სააკაშვილის დავალების შემსრულებელი გახდა, მაგრამ პარადოქსია...

**„ჩვენ ყურადღებით დავაკვირდებით პროცესებს, კიდევ ვინ ჩაერთვება ამ კამპანიაში, რომელიც რეალურ საფუძველს არის მოკლებული. სამწუხაროა, რომ ნებსით თუ უნებლიეთ სახალხო დამცველი ამ კამპანიის ნაწილი გახდა. მე კარგად ვიცნობ ნინო ლომჯარიას და არ მინდა მას დავაბრალო, რომ „ნაცმოძრაობის“ გარესპიკერი და სააკაშვილის დავალების შემსრულებელი გახდა. მაგრამ არ გამოვრიცხავ, რომ ის შეცდომაშია შეყვანილი, რადგან პარადოქსია, როდესაც სახალხო დამცველის მხრიდან გვესმის მოწოდება საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შესახებ, რომლის გარეშეც არჩევნების გადადება არის შეუძლებელი“,** – განაცხადა მამუკა მდინარაძემ.

## ვინ – ვის?



# ლევან ლორთქიფანიძე: „ოცნება“ ხალხის დასანახავად შფოთავს, თუმცაღა იცის, რომ ყოველთვის გაიმარჯვებს!

**„ნაციონალების ხელში მხოლოდ სისხლიანი ექსპერიმენტების გაგრძელების, ნიკა გვარამიას მორალზე დაშენებული ქვეყნის იმედი შეიძლება გვქონდეს“!..**



**პოლიტოლოგ ლევან ლორთქიფანიძის განცხადებით, ქართულ პოლიტიკაში ყველაზე საცოდავი და უნიათო სუბიექტები „ლელო“ და „სტრატეგია აღმაშენებელი“ არიან, რომლებმაც ჯერ ნაციონალების სხეულზე გაიკეთეს ფულური და მათ სატელიტებად იქცნენ, ახლა გადაწყვიტეს პარაზიტობას შეეშვან და ცალკე იმოქმედონ, მაგრამ მესამე ძალისთვის განკუთვნილ ველზე გახარია დახვდათ, რომელთან კონკურენციაში გამარჯვების შანსი არ აქვთ. გახარია არც ადეიშვილის მოადგილე ყოფილა, არც ვალითა და ვახშით გაუტყავებია ეს საზოგადოება, გახარიას თავისი სისხლიანი შლეიფი მოჰყვება, მაგრამ ის მესამე ადგილისთვის ბრძოლაში ადვილად გასრესს დასახელებულ პარტიისმაგვარ ერთობებს.**







**– „ქართული ოცნება“ აქტიურ საარჩევნო კამპანიას ატარებს. ამ თვალსაზრისით, პასიურია ოპოზიცია, რომლის მთავარი სტრატეგია ხელისუფლების შეცვლაა. როგორ ფიქრობთ, ტექნიკურად, პროგრამულად და კანდიდატებით რამდენად გამართულია ოპოზიცია და ამ სტრატეგიით ის შეძლებს გამარჯვებას?**

**ლევან ლორთქიფანიძე:** წინასაარჩევნო კამპანიაზე დაკვირვება გვაძლევს საბაბს ვიფიქროთ, რომ ოპოზიციას გამარჯვება არ სურს და, რომ ოპოზიცია არჩევნების შემდგომი არეულობებისა და ხმაურისთვის ემზადება. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი შეეცდებოდნენ უფრო გამართული შტაბის აწყობას, უფრო სწრაფად იმოქმედებდნენ და მათი ბრძოლის შინაარსიც გაცილებით მრავალფეროვანი იქნებოდა.

მოდით, უმარტივეს ტექნიკურ დეტალზე გავამახვილოთ ყურადღება: „ნაციონალური მოძრაობის“ ირგვლივ შეკრებილი პარტიები მოგვიწოდებენ, მხარი დავუჭიროთ გაერთიანებულ ოპოზიციას. გაერთიანებული ოპოზიციისთვის ხმის მისაცემად კი ხელისუფლებისადმი მტრულად განწყობილ მოქალაქეს სამივე ბიულეტენში სხვადასხვა ნომრის შემოხაზვა მოუწევს. მერობის კანდიდატი 5 ნომრით გამოდის არჩევნებზე, საკრებულოს თავმჯდომარეობის კანდიდატი გვეხვეწება 32 ნომერი შემოვხაზოთ, მაჟორიტარული კენჭისყრის დროს კი, ნიკა მელია დიდუბეში 2 ნომერს უწევს რეკომენდაციას, მთაწმინდაზე 45-ს და ა.შ.

ცხადია, თვითმმართველობის სათავეში პოლიტიკოსები უნდა იდგნენ, მაგრამ აუცილებელია, რომ მათ მართვისა და ორგანიზების გამოცდილება ჰქონდეთ. თბილისის მესვეურებს მილიარდზე მეტი ლარის განკარგვა უწევთ და არ შეიძლება ეს საქმე ქუჩის ხულიგნებს მივანდოთ. ნიკა მელიაც და ელენე ხოშტარიაც სრულიად არასერიოზული პოლიტიკოსების შთაბეჭდილებას ტოვებენ, რომელთა მთელი ავტორიტეტი ქუჩურ გარჩევებში მონაწილეობაზე, პოლიციელებისათვის თავის გახეთქვით დამუქრებაზე, კანონის არაფრად ჩაგდებასა და აბუჩად აგდებაზე დგას.

ამასთანავე, ორივე მათგანს აქვს მრავალჯერადი მარცხის გამოცდილება. მაგალითად, ელენე ხოშტარიამ არაერთხელ იყარა კენჭი თბილისში და ყველა ჯერზე დამარცხდა. მან ქარიზმისა და გავლენის არმქონე, სრულიად უსახური კანდიდატების დამარცხებაც ვერ შეძლო, მაგრამ მაინც მეოთხეჯერ შედის ერთსა და იმავე მდინარეში. არაფერს ვამბობ, ვიცე-მერობის კლოუნ კანდიდატზე, რომელსაც შუა კამპანიის დროს შეიძლება დედამ გადმოსძახოს ფანჯრიდან – ამოდი, შვილო, ჭამე და მერე ისევ ჩადი ეზოშიო!

ოპოზიციის საკადრო პრობლემებზე მიუთითებს რეგიონებში წარდგენილი კანდიდატებიც – რა საერთო აქვს ფოთთან უგულავას, ქუთაისთან დეკანოიძეს, მცხეთასთან უდუმაშვილს? – არაფერი! მათი ამ ოლქებში განმწესება მხოლოდ იმიტომ მოხდა, რომ ოპოზიციას მეზარბაზნეები კი არა, საჭურველმტვირთავებიც აღარ ჰყავს.

გეთანხმებით იმაშიც, რომ ოპოზიციას პროგრამა არ აქვს. მათი ერთადერთი ამოცანა ხელისუფლების ცვლილებაა. სამწუხაროდ, პოლიტიკოსებს ავიწყდებათ იმის ახსნა, თუ როგორ აპირებენ მიზნის მიღწევას და რა კონკრეტულ სიკეთეს მოუტანს ნიკა მელიას ოცნების აღსრულება რიგით მოქალაქეს. ხანდახან მგონია, რომ ასეთი უმაქნისი ოპოზიციის არსებობას ბიძინა ივანიშვილი უწყობს ხელს.

**– როგორ ფიქრობთ, რა სტრატეგიით შეირჩა მელია ზუგდიდში და უგულავა – ფოთში?**

– სრულიად გაუგებარია, აუხსნელია. მსოფლიოს ისტორიასაც და თანამედროვე პოლიტიკასაც მრავლად ახსოვს შემთხვევები, როდესაც მშობლებს შვილები მიჰყავთ პოლიტიკაში, მაგრამ ახალგაზრდა კაცს 74 წლის მამა წაეყვანოს ბრძოლის წინა ხაზზე, მე არ მახსენდება. გიგი უგულავაზე რა უნდა გითხრათ? ასეთი უპრინციპო და უნამუსო პოლიტიკოსი საქართველოშიც კი ძნელად მოსაძებნია. იგი ხან ძირძველი თბილისელია, ხან ფესვმაგარი ხონელი... როცა სჭირდება ამბობს, რომ ზუგდიდის შვილია, ახლა ფოთზე მოიფიქრებს რამეს! იმასაც შეამჩნევდით, როგორი წივილ-კივილითა და ლანძღვა-გინებით გაიქცა „ნაციონალური მოძრაობიდან“ „ევროპულ საქართველოში“! დღეს უკვე „ევროპული საქართველოდან“ გამოიქცა უკან და ჩვეული ისტერიკით დაბრუნდა „ნაციონალურ მოძრაობაში“, რომლის ლიდერსაც ცოტა ხნის წინ ჯართს ეძახდა. მტერს არ ვუსურვებდი მის იმედად ყოფნას, არათუ უმშვენიერეს კარიბჭეს – ფოთს.

**– გასაგებია, რომ ოპოზიციისთვის ამ ეტაპზე ყველაზე მნიშვნელოვანია რეფერენდუმის იდეა, მაგრამ მხოლოდ ეს საკმარისია თვითმმართველობის არჩევნებზე გამარჯვებისთვის?**

– თვითმმართველობა არის ხელისუფლების რგოლი, რომელიც ყველაზე ახლოს დგას ხალხთან. მერებსა და საკრებულოებს ევალებათ მოქალაქეთა ყველაზე ელემენტარული, ყველაზე პირველადი კომუნალური პრობლემების გადაწყვეტა. საქართველოს ბევრი ქალაქისა და სოფლისთვის დღემდე არ არის ხელმისაწვდომი ნორმალური გზა, წყალი, სოციალური სერვისები, მოქალაქეები ვერ ახერხებენ მათ ირგვლივ მდებარე მიწების განკარგვას, რესურსების გამოყენებას, უჭირთ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების შენახვა. ადგილობრივ არჩევნებზე მიმავალ მოქალაქეს სჭირდება პასუხები ამგვარ კითხვებზე. სამწუხაროდ, ოპოზიცია ამ ხალხის სირთულეებს რეაგირების გარეშე ტოვებს და რიგითი გლეხის კითხვას – როდის მექნება გამართული სამელიორაციო სისტემა? – არაადეკვატურად პასუხობს – მთავარია „ქოცებმა“ 43%-ზე ნაკლები აიღონ!

თავად არ გახლავართ ხელისუფლების მხარდამჭერი და დასანახავად ვერ ვიტან მათ ლიდერთა უდიდეს უმრავლესობას, მესმის, რომ საჭიროა ბრძოლა „ქოცების“ წინააღმდეგ. უბრალოდ, მეც და ალბათ, ბევრ ჩვენს თანამოქალაქეს გვაინტერესებს – როგორ და რა პროგრამით უნდა დავამარცხოთ მმართველი პარტია? ჩვენთვის მთავარი მხოლოდ მთავრობის დამარცხება არ არის, ჩვენ გვაღელვებს ისიც, თუ რა იქნება შემდგომ. „ნაციონალური მოძრაობის“ ხელში მხოლოდ ოცნების სისხლიანი ექსპერიმენტების გაგრძელების, ნიკა გვარამიას მორალზე დაშენებული ქვეყნის იმედი შეიძლება გვქონდეს.

**– გახარია შეიძლება ჩამოყალიბდეს მესამე პოლიტიკურ ძალად? რა შანსი აქვს მას?**

– ყველა სოციოლოგიური კვლევა აჩვენებს, რომ გახარიას პარტია ყველაზე ძლიერია „ქართული ოცნებისა“ და „ნაციონალური მოძრაობის“ შემდეგ. უბრალოდ, იგი თავისი მაჩვენებლებით ათობით პროცენტით ჩამორჩება პირველ ორ პარტიას. გახარიას მიზანია მისი ხმები საჭირო გახდეს მთავარი პარტიებისთვის საკრებულოებში უმრავლესობის ჩამოსაყალიბებლად. მგონია, რომ გახარია ამ არჩევნებში თავის ბედსა და შესაძლებლობებს ცდის, ამზადებს პლატფორმას მომავალი საპარლამენტო არჩევნებისთვის. უბრალოდ, ის ახალს არაფერს ამბობს, ვერაფერს გვთავაზობს და მალე ეს ახალი ცოცხიც გაცვდება.

**– იგივე გახარია მთავარ აქცენტს რეგიონებზე აკეთებს, თბილისში ამ ეტაპზე აქტიურობს მხოლოდ „ნაციონალური მოძრაობა“, ეს რა სტრატეგიაა? იგივე გახარია თბილისზე არ აკეთებს გათვლას. ეს ფაქტი იმით ახსნება, რომ ამ ეტაპზე კალაძე უკონკურენტოა და ამიტომ აკეთებს აქცენტს რეგიონებზე?**

– როგორც ჩანს, გახარიამ ძალიან ბევრი დრო დაკარგა თბილისის მერობის ბრძოლისუნარიანი კანდიდატის მოსაძებნად, მაგრამ მაინც ვერ მოახერხა შანსების მქონე ლიდერის გამოვლენა. კალაძე უკონკურენტო არ არის, უბრალოდ, კალაძეზე ათასჯერ უკეთეს ადამიანებს არ სურთ ბინძურ ბრძოლაში შესვლა და არ აქვთ პატიოსნად თამაშის იმედი, ამიტომ გახარიას მსგავსი პოლიტიკოსების შემოთავაზებებზე უარს ამბობენ. ამასთანავე, ფაქტია, რომ გახარია და კალაძე დღემდე არ არღვევენ „ურთიერთთავდაუსხმელობის ხელშეკრულებას“, არ უტევენ ერთმანეთს, თითქოს არ სურთ ერთმანეთთან მისასვლელი ყველა ხიდის დაწვა. შეიძლება თბილისში გახარიას პასიურობა ამითაც იყოს განპირობებული.

**– პრემიერ-მინისტრის განცხადებით, მოსახლეობას არ სჭირდება არც რევოლუციები, არც ომი და ვერავინ შეძლებს ქაოსის და დესტაბილიზაციის შემოტანას. ჩვენ გვყავს ოპოზიცია, რომელიც ყოველი არჩევნების შემდეგ გადის ქუჩაში და ეს ერთგვარი ტრადიცია გახდა. თუ დავაკვირდებით ოპოზიციის წინასაარჩევნო კამპანიას, ასეთი არაორგანიზებული საარჩევნო კამპანია ოპოზიციას არასოდეს არ ჰქონია. შეიძლება ითქვას, რომ პარტიები არა არჩევნების შედეგებს, არამედ საპროტესტო ტალღის დაწყებას ელოდებიან, ანუ არა 2 ოქტომბერს, არამედ 3 ოქტომბერს, რომ ისევ გავიდნენ ქუჩაში იმ მოტივით, რომ არჩევნები გაუყალბეს და ამით მიაღწიონ მთავარს – ვადამდელ არჩევნებს.**

– დიახ, ვფიქრობ, ამ ბოლო დროს ოპოზიცია მხოლოდ რევოლუციური სცენარისთვის ემზადება, რაც „ოცნებასაც“ აწყობს საკუთარი თავის მშვიდობისა და სტაბილურობის მაძიებლად, ექსტრემისტების წინააღმდეგ მებრძოლად წარმოჩენისთვის. ოპოზიცია დაიღალა კენჭისყრებში დამარცხებით, 2012 წლის შემდეგ უკვე მეოთორმეტე წრეზე მიდიან. ჭადრაკი ხომ გითამაშიათ? წარმოიდგინეთ, რომ ყოველ მომდევნო სვლაზე მოწინააღმდეგე „შახს“ გიცხადებთ, უკან გახევინებთ, განერვიულებთ, მაგრამ შამათის ჩასმის თავი არ აქვს, ფიგურა აკლდება. ყოველ სეზონზე ნაცები „შახს“ უცხადებენ „ოცნებას“, „ოცნება“ ჩვენს დასანახავად შფოთავს, თუმცაღა იცის, რომ ყოველთვის გამარჯვებული გამოვა, რადგან ოპოზიციას ფიგურა აკლდება. ერთადერთი გზა დაფის აყირავებაა.

ესაუბრა
**თამთა ქარჩავა**

# წააგებს ყველა, ვისაც არასწორი აგრარული პოლიტიკა აქვს!



**დავუბრუნოთ მთას თავისი ბუნებრივი ფუნქცია**

**„საქართველოს მთაში მეცხოველეობის განვითარება — ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი სასიცოცხლო არტერიის — მთიანეთის აღორძინების, მოსახლეობის შენარჩუნება -გამრავლებისა და თავდაცვის უპირველესი პირობაა“.**
**ილია ჭავჭავაძე**

**საქართველოს წინსვლა ქართული სოფლისა და სოფლის მეურნეობის გაძლიერების გარეშე შეუძლებელია. სოფლის ძლიერება დამოკიდებულია სწორი სახელმწიფო პოლიტიკის განსაზღვრასა და მის აღსრულებაზე.**

**საქართველოს დამოუკიდებლობის ბოლო 30-წლიან ბოლო ისტორიაში იყო არაერთი მცდელობა გატარებულიყო რეგიონული პოლიტიკა სოფლად მცხოვრები მოსახლეობის კეთილდღეობის ასამაღლებლად. დრომ გვიჩვენა, რომ ამ მიზნით შემუშავებული ყველა სტრატეგია თუ პროგრამა ყოველთვის იყო არასისტემური და ფრაგმენტული. შედეგად მივიღეთ თითქმის შეუქცევადი პროცესი ქართული სოფლების დაცარიელებისა, განსაკუთრებით კი მაღალი მთის საზღვრისპირა სექტორში.**

**სახელმწიფოს სამხედრო-პოლიტიკური გამოწვევების და მოსახლეობის საფიქრალი სოციალურ-ეკონომიკური ვითარების გათვალისწინებით, ყველაზე საგანგაშო მდგომარეობაა პირიქითა კავკასიონისა (ხევი და თრუსოს ხეობა, პირიქითა ხევსურეთი, თუშეთი) და მის მიმდებარედ არსებულ ტერიტორიებზე (მთიულეთი, გუდამაყარი, ფშავი). აქ მთელი წლის განმავლობაში ასეულობით კვადრატული კილომეტრის ფართობზე ცხოვრობს მხოლოდ რამდენიმე ათეული ოჯახი!**

**მათთვის განკუთვნილი მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამების მიზანი არის მოსახლეობისთვის ისეთი პირობების შექმნა, რომელიც ადამიანს იქ მუდმივად ყოფნის სურვილს ბუნებრივად გაუჩენს.**

მიზანშეწონილად მიგვაჩნია ტერიტორიების მიხედვით შეიქმნას სპეციალური სამეურნეო-ეკონომიკური ერთეულები, რომელთა განკარგვაში (მუდმივ მფლობელობასა და სარგებლობაში) გადავა საძოვრებიდან და ტყის ფონდებიდან გენერირებული შემოსავლები. ამ ტიპის ეკონომიკური ერთეულების მფლობელები შეიძლება იყვნენ მხოლოდ ის ადამიანები (მოხევეები, მთიულები, ხევსურები, ფშაველები და თუშები), რომლებიც მუდმივად ცხოვრობენ განსაზღვრულ არეალში. იჯარიდან ან სხვა სახის სამეურნეო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები სახალხო-დემოკრატიული გადაწყვეტილებების საფუძველზე შეიძლება დაიხარჯოს მხოლოდ საერთო მიზნებისთვის უკეთესი საცხოვრებელი პირობების შესაქმნელად. ასეთი მიზნები შეიძლება იყოს განათლება, ჯანდაცვა, ინფრასტრუქტურა, ტრანსპორტი და სხვ. რაც წინასწარ იქნება განსაზღვრული საქართველოს მთავრობის მიერ.

აღნიშნულ სამეურნეო ერთეულების ფარგლებში კოოპერაციულ საწყისებზე უნდა განვითარდეს სასოფლო-სამეურნეო წარმოება, ერთიანი საწარმოო ციკლის (წარმოება, გადამუშავება, რეალიზაცია) ორგანიზებით. აგროკოოპერაციის ლოკალურ-ტერიტორიული გავრცელების ოპტიმალურ ფორმად სათემო კოოპერატივები მიიჩნევა. სათემო კოოპერატივები უზრუნველყოფენ კოოპერაციის პროცესში მოსახლეობის მასობრივი ჩართულობის პირობებს, სადაც შესაძლებელი გახდება მასშტაბის ეფექტის გამოყენება და ადგილებზე მოსახლეობის შესაძლებლობების და მატერიალური რესურსების კაპიტალიზაცია, რასაც მთის მოსახლეობის ინკლუზიურ სამეწარმეო განვითარებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

საქართველოს მთიანეთში არსებობს მაღალხარისხიანი ბიოწარმოების უნიკალური შესაძლებლობები. ბუნებრივი საძოვრების რაციონალური გამოყენების საფუძველს ყველა ვერტიკალურ ზონაში წარმოადგენს პირუტყვის ნაკვეთმორიგეობითი ძოვების სისტემის დანერგვა. ბუნებრივ საძოვრებზე ყველა სახის საკვების (მწვანე, წვნიანი, უხეში) წარმოების გადიდება მათი ხარისხის ამაღლება და თვითღირებულების შემცირება მეცხოველეობის განვითარების ძირითადი საფუძველია. სათემო კოოპერატივის ფარგლებში ერთიანი საწარმოო ციკლის ორგანიზება (პირუტყვის საკვების, რძის და რძის პროდუქტების, მათ შორის ადგილწარმოშობის მიხედვით წარმოებული პროდუქციის: დამბალხაჭო, ტენინი ყველი, გუდის ყველი, ხორცის და ხორცის პროდუქტების, მატყლის და ტყავის წარმოება) უზრუნველყოფს სათიბ-საძოვრების რაციონალურ გამოყენებას, შეამცირებს პირუტყვის საკვების ხარჯებს და მნიშვნელოვნად გაზრდის მეპაიეთა შემოსავლებს. ასევე მნიშვნელოვანია ტყის არამერქნული პროდუქტების წარმოება, რაზეც საერთაშორისო ბაზარზე დიდი მოთხოვნილებაა. აქ სათემო კოოპერატივების ფარგლებში ველური ხილის (ასკილი, პანტა, შინდი, ქაცვი და სხვა) შეგროვებას, მათ შრობას, შენახვას, ბიოწარმოების განვითარებას და მაღალ ფასებში რეალიზაციას დიდი პოტენციალი გააჩნია.

სწორად ორგანიზების შემთხვევაში აღნიშნული წყაროებიდან მიღებული შემოსავლები შეიძლება იმდენად დიდი აღმოჩნდეს, რომ დედაქალაქიდან, საქართველოს სხვა ადგილებიდან და უცხოეთიდანაც კი ბევრი ადამიანი დაუბრუნდება მშობლიურ კუთხეს. სახელმწიფოს მხრიდან დამატებითი ფინანსური დანახარჯებისა და ქვეყნის შიდა ტერიტორიული მოწყობის ცვლილებების გარეშე გადაიჭრება მაღალი მთის საზღვრისპირა სექტორებთან დაკავშირებული ურთულესი სამხედრო-პოლიტიკური, ეკონომიკური და დემოგრაფიული საკითხები. აქ მცხოვრები ადამიანები ერთდროულად შეასრულებენ ქვეყნის დარაჯის, მესაზღვრისა და მეურნის ფუნქციებს.

წარმოგიდგენთ მოსაზრებებს ქართული სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარებასთან დაკავშირებული საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების ინსტიტუციურ-ორგანიზაციული მოდელის შესახებ. საქართველოში სოფლად მცხოვრები ადამიანების კეთილდღეობის ზრდისათვის განსაზღვრული სახელმწიფო ფუნქციები უსისტემოდ არის გაბნეული ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლების ორგანოებსა და უწყებებს შორის.

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს პასუხისმგებლობას განეკუთვნება რეგიონების განვითარება. ამის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა რეგიონებში მცხოვრები თითოეული ოჯახი უზრუნველყოფილი იქნება სტაბილური და მზარდი შემოსავლებით. ასეთი შემოსავლების მიღება მთლიანად დამოკიდებულია სოფლის მეურნეობის განვითარებაზე. ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება მხოლოდ არაპირდაპირი ხელშეწყობის ღონისძიებაა სოფლის მეურნეობის გასავითარებლად.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს პასუხისმგებლობას განეკუთვნება სახელმწიფო მიწის მართვა და განკარგვა. ეკონომიკის სამინისტროს ამოცანაა სახელმწიფომ მეტი შემოსავალი მიიღოს იჯარით გაცემული მიწებიდან (საძოვრები და სხვ.), ან მიწის ნაკვეთების ერთჯერადი პრივატიზაციიდან, ისე, რომ არც იცის და არც აინტერესებს, თუ რა მდგომარეობაშია, მაგალითად, საძოვრები, ან თუ ვინ გახდება მიწის მფლობელი (იმ სოფლად მცხოვრები ერთი მოსახლე, უკვე ემიგრირებული ადგილობრივი მკვიდრი მოსახლე, საქართველოს სხვა მოქალაქე თუ უცხოელი პირი), რომელიც სინამდვილეში გადაიქცევა ფეოდალად და სოფლის განვითარების შემაფერხებლად.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს პასუხისმგებლობას განეკუთვნება სოფლის მეურნეობის განვითარება ისე, რომ მის კომპეტენციაში არ შედის სხვა სამინისტროების ზემოთ ჩამოთვლილი ფუნქციები, აგრეთვე საზღვაო მეთევზეობა, რომელიც ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საქმეა. ამასთან ერთად, გარემოს დაცვის საკითხების გადაჭრა ევალება იმ სამინისტროს, რომლის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა, რაც შეიძლება მეტი აგროპროდუქციის წარმოება, რაც თავის მხრივ შეიძლება ყველაზე დიდი საფრთხე იყოს გარემოსთვის.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გამოეყოს გარემოს დაცვის სამინისტრო და შეიქმნას სოფლისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო ისე, რომ იგი აღიჭურვოს ყველა ბერკეტით ქვეყნის სასურსათო უშიშროებისა და სოფლად მცხოვრები ყველა მოქალაქის შემოსავლების ზრდის უზრუნველსაყოფად. სამინისტრომ საქმიანობა უნდა წარმართოს დარგობრივი პრინციპით სამი ძირითადი დარგის მიხედვით: მრავალწლოვანი კულტურები, მათი და ბოსტნეულ-ბაღჩეულის გადამუშავების პროდუქტები, მემცენარეობა (მარცვლეული, ბოსტნეულ-ბაღჩეული, კარტოფილი, ტექნიკური და ზეთოვანი კულტურები, მდელოსნობა და სხვ.), მეცხოველეობა, ხორცისა და რძის წარმოება (მესაქონლეობა, მეცხვარეობა, მეფრინველეობა, მეთევზეობა და სხვ.). სოფლისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესასრულებლად უნდა დაუდგინდეს ის მაჩვენებლები, რომლებიც ზუსტად განსაზღვრავს სურსათის წარმოებისა (პური,ხორცი,რძე,ზეთი) და მოსახლეობის (ფერმერების) შემოსავლების ზრდას რეგიონების, მუნიციპალიტეტების, სოფლების მიხედვით. მაგალითად, სასურსათო ხორბლის წარმოების ზრდის უზრუნველყოფა წელიწადში 350-360 ათას ტონამდე — პირველ ეტაპზე, ხოლო მეორე ეტაპზე 400-420 ათას ტონის ოდენობით (100-120 ათას ჰექტარზე) 3-5 წლის პერიოდში სამცხე-ჯავახეთის, ქართლის და კახეთის რეგიონებში.

საწარმოებისა და ფერმერების ფინანსური მხარდაჭერის ახალი პროექტების განხორციელებას წინ უნდა უძღოდეს სახელმწიფოს მიერ თანადაფინანსებული თითოეული სესხის ან გაცემული გრანტის დეტალური ფინანსური ანალიზი შემდეგნაირად: ორგანიზაციის ან ფერმერის მიერ ბანკში წარდგენილი პროექტი წარმოებული პროდუქციისა და დასაქმებული თანამშრომლების შესახებ შეუდარდეს საგადასახადო ორგანოებში მათსავე წარდგენილ დამატებული ღირებულების, ექსპორტისა და საშემოსავლოს საგადასახადო დეკლარაციებს. ასეთი ანალიზი საფუძველი იქნება შეფასებულ იქნეს სახელმწიფო რესურსების ხარჯვის ეფექტიანობა დარგებისა და რეგიონების მიხედვით.

მაღალმთიანი კავკასიონის ზემოაღნიშნული მოდელი შეიძლება გავრცელდეს ყველა თემსა და სოფელზე სოფლისა და სოფლის მეწარმის სტატუსის (სოფელი როგორც ტერიტორიული ერთეული — სასიცოცხლო არეალი) განსაზღვრის შემდეგ.

**თუ დღეს მოქმედი უარყოფითი ტენდენციები შენარჩუნდა, მოკლე ხანში აღარ გვექნება არა მარტო ფორმალური სოფლის მეურნეობა, არამედ თვით სოფელიც კი. ამიტომაც, აგრარული პოლიტიკის ძირითადი იდეაა — გლეხკაცის მიწასთან მარადიული ურთიერთობა, ქვეყნის სურსათით უზრუნველყოფა, სოფელსა და ქალაქს შორის სოცკულტურული განსხვავებების შემცირება, სოფლად მცხოვრები მოსახლეობის მოფრთხილება და მათი შრომის სტიმულირება საზოგადოების გამოსაკვებად. ასეა ჯანსაღ ქვეყნებში — ნაკლებად განვითარებულიდან დაწყებული და ყველაზე განვითარებული დემოკრატიებით დამთავრებული, რადგან მათ იციან, რომ გლეხკაცი სოფლის მაცოცხლებელი და გარდამქმნელია.**

წააგებს ყველა, ვისაც არასწორი აგრარული პოლიტიკა აქვს.

**პაატა კოღუაშვილი,**
**პროფესორი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი;**
**დავით გალეგაშვილი,**
**ეკონომიკის დოქტორი**

## ექსპორტირებულია 26.1 მლნ დოლარის ატამი და ვაშლატამა

**მიმდინარე წლის 1 მაისიდან დღემდე განხორციელდა 28.7 ათასი ტონა ატმისა და ვაშლატამას ექსპორტი, რომლის ღირებულებამ 26.1 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ინფორმაციას სოფლის მეურნეობის სამინისტრო ავრცელებს.**

**გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ატმისა და ვაშლატამას ექსპორტის მოცულობა 5.7 ათასი ტონით (25%), ხოლო ღირებულება — 6.9 მლნ აშშ დოლარით (36%) გაიზარდა.**



**ექსპორტი განხორციელდა რუსეთში (18,942), სომხეთში (8,156 ტონა), უკრაინაში (768 ტონა), აზერბაიჯანში (269 ტონა), ყაზახეთში (134 ტონა), ბელარუსში (119 ტონა), მოლდოვაში (116 ტონა), პოლონეთსა (98 ტონა) და სლოვენიაში (59 ტონა).**

# არავის აქვს უფლება, მოსახლეობაში ტოტალური შიში დანერგოს!

დასაწყისში, როგორც მიღებულია მედიცინაში, ჩატარდა ლაბორატორიული კვლევები in vitro უჯრედოვან კულტურებზე. **მელბურნის (ავსტრალია) მონაშის უნივერსიტეტის ბიომედიცინის ინსტიტუტის** მიერ შესწავლილ იქნა ივერმექტინის გავლენა ვირუსულ რიბონუკლეინის მჟავაზე (რნმ). კვლევა 2020 წლის 3 აპრილს გამოქვეყნდა ცნობილ საერთაშორისო ჟურნალში — Antiviral Research, მისი შედეგები განსაცვიფრებლად შთამბეჭდავი იყო, დასკვნაც შესაბამისი: **ივერმექტინი ფართოდ შეიძლება იქნას გამოყენებული კოვიდ 19 -ით დაინფიცირებული ავადმყოფების სამკურნალოდ!**

მალევე განხორციელდა კლინიკური კვლევაც. პირველი პუბლიკაცია სათაურით — **„ივერმექტინისგან მიღებული სარგებლობა კოვიდ 19-ის დროს“** ზემოთ ხსენებული ჟურნალის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა 19 აპრილს. კვლევა ჩატარდა მთელი მსოფლიოს მასშტაბით, ხუთივე კონტინენტის 169- (!) ჰოსპიტალში — 704 პაციენტი იღებდა ამ პრეპარატს, 68 230 პაციენტი კი საკონტროლო ჯგუფს შეადგენდა. **იმ პაციენტებს შორის, რომლებსაც ფილტვების ხელოვნური ვენტილაციის აპარატზე გადაყვანა დასჭირდათ, ლეტალობა 3-ჯერ(!) ნაკლები იყო ივერმექტინის ჯგუფში, საერთო ლეტალობა კი — 6-ჯერ (!) ნაკლები.** ანალოგიური შედეგები იქნა მიღებული ცალკე ჩატარებული სხვა კვლევებითაც არგენტინაში და პერუში — **არცერთ პაციენტს, ივერმექტინით დროულად დაწყებული მკურნალობის შემთხვევაში, გართულება არ ჰქონია, სიკვდილობის მაჩვენებელი კი იყო 0%!**

რაც ძალზე მნიშვნელოვანია, ივერმექტინზე 40-წლიანი დაკვირვება — ჯერ როგორც ანტიპარაზიტულ, 2020 წლიდან კი — როგორც კოვიდ 19-ის სამკურნალო პრეპარატზე, აბსოლუტურად უსაფრთხოს ხდის მის გამოყენებას, რადგანაც ერთი შემთხვევაც კი არ არის აღწერილი მისგან გამოწვეული რაიმე სერიოზული გართულებისა!

ახლა, თუ რა მოხდა ინდოეთში, რისი დანახვაც ცოცხალი თავით არ უნდა ჩვენს ცნობილ სამეულს.

FLCCC (Front Line Covid-19 Critical Care Alliance) ჯგუფმა (10 წევრი) და RIRD-მა (65 წევრისგან შემდგარმა ივერმექტინის რეკომენდაციების შემმუშავებელი ბრიტანული ჯგუფი) 3 მაისს გამოუშვა პრეს-რელიზი, სადაც ყველას მოუწოდებდნენ დაუყოვნებლივ დაეწყოთ ივერმექტინის გამოყენება კოვიდ-19-ის სამკურნალოდ. დოქტორმა **პოლ მარიკმა,** FLCCC ერთ-ერთმა დამფუძნებელმა და ინტენსიური თერაპიის სპეციალისტმა, 7 მაისს განაცხადა: **„ჩვენ აღარ შეგვიძლია ვენდოთ ჯანდაცვის მსხვილ ორგანიზაციებს, რომლებიც სამედიცინო და სამეცნიერო მონაცემების შემოწმებას ატარებენ“**.

ჰარვარდის და იელის უნივერსიტეტების პროფესორები პირველები იყვნენ, რომლებმაც კოვიდ-19-ის ადრეული **ამბულატორიული მკურნალობის პროტოკოლი** გამოაქვეყნეს 2020 წლის 6 აგვისტოს.

ინდოეთის სამედიცინო მეცნიერებათა ინსტიტუტმა (AIIMS) და ინდოეთის სამედიცინო კვლევების საბჭომ (ICMR) გაბედეს (!) და შეისმინეს ზემოხსენებული სპეციალისტების რჩევები, ყურადღებით მოეკიდნენ 56 კვლევას 18 447 პაციენტის მონაწილეობით, საიდანაც თვალნათლივ იკვეთებოდა ივერმექტინის აშკარა დადებითი ეფექტი — ლეტალობის კლება 91 %-ით! ამის შემდეგ ინდოეთის რამდენიმე შტატში დაიწყეს ივერმექტინით მკურნალობა, შედეგმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა: **5 კვირაში კოვიდით დაავადებიანობის საშუალო დღიურმა მაჩვენებელმა 60-97(!) %-ით იკლო,** იმ შტატებში კი, სადაც ივერმექტინს არ იყენებდნენ, ადგილი ჰქონდა მკვეთრ მატებას — 50, 200 და 800%-ით! ახალი მონაცემებით, 1 ივლისიდან 5 აგვისტომდე სიკვდილობის მაჩვენებელი იყო: ლონდონში ( 400% (5-ჯერადი მატება!), დელიში კი — 72% (3.6-ჯერადი კლება!).

დაკვირვებულ მკითხველს აუცილებლად დააეჭვებს ახალი შემთხვევების საშუალო დღიური მაჩვენებლების ასეთი მკვეთრი ვარდნა სულ რაღაც ერთ თვეში, რადგანაც, სავსებით დასაჯერებელია „ივერმექტინის“ სამკურნალო ეფექტი, დასაჯერებელია სიკვდილობის ჯერადობით კლებაც, „მაგრამ ვირუსის, კოვიდის“ გავრცელებასთან და ახალი შემთხვევების ასევე ჯერადობით შემცირებასთან ივერმექტინი რა კავშირშიაო, — გაკვირვებული იკითხავს იგი. საქმე კი იმაშია, რომ ინდოეთში ძალიან კარგად მუშაობს ეპიდსაწინააღმდეგო სამსახური, ხდება ავადმყოფის ყველა კონტაქტის გამოვლენა და, რაც მთავარია, **ოჯახის წევრებს (სხვებსაც) უტარდებათ პრევენციული(!) მკურნალობა „ივერმექტინით“!**

**„ადამიანის ჯანმრთელობის დეპარტამენტი და ვაქცინების მწარმოებელი კომპანიები 30-ზე მეტი წლის მანძილზე ატყუებდნენ ამერიკელებს დანარჩენ მსოფლიოსთან ერთად, როდესაც მათ ვაქცინების ეფექტურობაზე და უსაფრთხოების შესახებ ესაუბრებოდნენ“!**

აი, ასეთი პრეპარატის დანიშვნასაც ვერ ბედავენ ჩვენი ექიმები უმძიმესი ავადმყოფებისთვისაც კი!

რა ჰქვია ამას?!

* * *

საინტერესო ამბავი მოხდა თამილ ნადუს შტატში: ინდოეთის ადვოკატთა ასოციაციამ (IBA) 2021 წლის 15 მაისს საქმე აღძრა **ჯანმოს (!) მთავარი მეცნიერ-თანამშრომლის** ინდოელი ქალბატონის, დოქტორ **სუმიუ სვამინატანის** წინააღმდეგ, რომლის ტვიტმაც („ივერმექტინის“ ეფექტურობასთან დაკავშირებით დადებულმა) შეცდომაში შეიყვანა შტატის ხელმძღვანელობა (შტატის მთავარი მინისტრი — საინტერესო გვარის მქონე ინდოელი, **M. K. Stalin**), რომელმაც კოვიდ-პაციენტების მკურნალობის პროტოკოლიდან ივერმექტინი ამოიღო. **ადვოკატთა ასოციაციამ ბრალი დასდო ამ ქალბატონს იმაში, რომ მისი მიკერძოებული ტვიტის**



**დონალდ ტრამპი:**

**ეს მკვლელობები ფარმაცევტული ინდუსტრიის კისერზეა!**

**მიზეზით დაიღუპნენ ივერმექტინის გარეშე დარჩენილი ინდოეთის მოქალაქეები**. ინდოეთის ადვოკატთა კოლეგიის წამყვანმა რწმუნებულმა ადვოკატმა, ქალბატონმა **დიპალი ოჯამ** დოქტორი სუმიუ სვამინატანი თანამდებობის ბოროტად გამოყენებაში, EUA (Emergency Use Autorization for Vaccines) — **ვაქცინები (!) ინდუსტრიის პროგრამის ლობირებაში დაადანაშაულა** და სისხლის სამართლის დევნით დაემუქრა მისი მოქმედებით თუ უმოქმედობით გამოწვეული „თითოეული სიკვდილისთვის“.

ინდოეთის ადვოკატთა ასოციაციამ გაბედა და ისტორიული სარჩელი აღძრა ინდოეთის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სამმართველოს (PHA) წინააღმდეგ, რაც იმის სიგნალია, რომ დეზინფორმაციის კამპანიები, რაც ბოროტმოქმედების ტოლია და, რასაც სავალალო შედეგებამდე მივყავართ, დაუსჯელი არ დარჩება!

ასეთივე ბრალდებებით უნდა გაჩაღდეს ჩვენთანაც მოძრაობა ჯანდაცვის სამინისტროს, სამეულის და კიდევ სხვა მოხელეების წინააღმდეგ. აბა, **ერთი წუთით წარმოვიდგინოთ ასეთი სურათი:** მომაკვდავი ავადმყოფის საწოლთან მყოფ სასოწარკვეთილ პატრონს, რომელიც ხედავს, რომ ავადმყოფზე გადაყოლილი ექიმების მთელი ბრიგადა უძლურია, ვინმე ღვთისნიერმა კაცმა გააგებინოს, რომ არსებობს წამალი, სახელად ივერმექტინი, რომელმაც, შესაძლოა, უშველოს კიდეც თქვენს ავადმყოფსო. დაიმედებულ პატრონს კი, „სამ მუშკეტერად“ წოდებულმა სამეულმა „ცივი წყალი გადაასხას“: კი, ჩვენც გაგვიგია, ივერმექტინი არ უნდა იყოს ცუდი წამალი, მაგრამ დაავადებათა კონტროლის ცენტრის ნებართვის გარეშე თქვენს ავადმყოფს მაინც ვერ დავუნიშნავთო!..

რაც შეეხება ვაქცინაციას — ნებისმიერი ინფორმაცია, ტელევიზიით მოწოდებული იქნება იგი, თუ ინტერნეტში მოძიებული, რა თქმა უნდა, არ უნდა დავიჯეროთ და ის მაინც უნდა შევძლოთ, რომ არაარგუმენტირებული, მტკიცებით ფორმაში გაკეთებული მოწოდებები, თანაც, შესასრულებლად სავალდებულო(!), საპირისპირო მოსაზრებებს შევადაროთ და დასკვნაც შემდგომ გამოვიტანოთ, ვინაიდან ამის გარეშე სწორი პოზიციის არჩევა ძალიან გაჭირდება.

* * *

ალბათ, ცოტა ვინმეს თუ ეცოდინება, რომ **2020 წლის აპრილის ბოლოს ამერიკის სასამართლო პროცესების ისტორიაში უპრეცედენტო რამ მოხდა** — ნიუ-იორკის სასამართლოს გადაწყვეტილებით **შეერთებული შტატების მთავრობამ (!) სასამართლო პროცესი წააგო** გახმაურებული დოკუმენტური ფილმის (**Vaxxed — ვაქცინირებულები,** რეჟისორი — დოქტორი **ენდრიუ უეიკფილდი**) პროდუსერის **დელ ბიგტრის** მიერ 2016 წელს დაფუძნებულ კომპანია ICAN (Informed Consent Action Network)-თან. კომპანიის ადვოკატი იყო **რობერტ კენედი უმცროსი** (მოკლული პრეზიდენტ ჯონ კენედის ძმის, ასევე მოკლული სენატორ რობერტ კენედის შვილი) — იურისტი, მწერალი და ეკოაქტივისტი, რომელიც **პრეზიდენტმა ტრამპმა ვაქცინების უსაფრთხოების მიზნობრივი ჯგუფის თავმჯდომარედ** დანიშნა ინაუგურაციიდან მეხუთე დღეს, 2017 წლის 25 იანვარს.

მოხდა ყოვლად დაუჯერებელი რამ: **ამერიკის მთავრობამ ერთი დოკუმენტიც კი ვერ წარმოადგინა, რომლითაც დადასტურდებოდა, ბოლო 32(!) წლის მანძილზე** (დაწყებული 1986 წლიდან, როცა კონგრესმა ვაქცინების მწარმოებელი ტრანსნაციონალური ფარმაკომპანიები ყოველგვარი პასუხისმგებლობისგან გაათავისუფლა!) **გამოშვებული ვაქცინებიდან, თუნდაც ერთმა მაინც რომ გაიარა ხარისხზე შემოწმება! არადა, ადამიანის ჯანმრთელობის დეპარტამენტი (DHHS)** იმავე, 1986 წლის აქტით **ვალდებული იყო ყოველ ორ წელიწადში ერთხელ კონგრესისთვის წარედგინა ანგარიში იმ ზომების შესახებ, რომლებიც გატარდებოდა ვაქცინების ხარისხის გასაუმჯობესებლად**. გაუმჯობესებას ვინ დაეძებს, **32 (!) წლის განმავლობაში, თურმე, არცერთი(!) ვაქცინის ხარისხი არ შემოწმებულა!** რობერტ კენედი უმცროსს და მის თანამოაზრეებს წლების შეუპოვარი შრომა დასჭირდათ, რათა გამარჯვებისთვის მიეღწიათ. ამ გამარჯვებაში პრეზიდენტ ტრამპის პოზიციასაც რომ გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნებოდა, უდავოა. თუ გავითვალისწინებთ ვაქცინაციით გამოწვეულ ბავშვთა სიკვდილიანობასთან დაკავშირებით მის მიერ პირველ პრესკონფერენციაზე გაკეთებულ განცხადებასაც (ინაუგურაციიდან მეცხრე დღეს): **„...ეს მკვლელობები(!) ფარმაცევტული ინდუსტრიის კისერზეა“,** კიდევ უფრო გასაგები გახდება, თუ რატომ არ გაამარჯვებინეს მას ექვსი თვის შემდეგ ჩატარებულ, 2020 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში, რომლის შედეგების მსგავსი გაყალბება კაცობრიობის ისტორიას არ ახსოვს!

„ეს ნიშნავს, — აღნიშნავდა ერთ-ერთი ამერიკელი მიმომხილველი, — რომ **ადამიანის ჯანმრთელობის დეპარტამენტი და ვაქცინების მწარმოებელი კომპანიები 30-ზე მეტი წლის მანძილზე ატყუებდნენ ამერიკელებს დანარჩენ მსოფლიოსთან ერთად, როდესაც მათ ვაქცინების ეფექტურობაზე და უსაფრთხოების შესახებ ესაუბრებოდნენ“!**

შეუძლებელია ამ შემაძრწუნებელი ფაქტისთვის შესაფერისი(!) სიტყვებით კომენტარის გაკეთება. დამნაშავე პირებისთვის შესაფერისი (!) პასუხის გაცემა კი, პრეზიდენტ ტრამპს, სამწუხაროდ, არ დასცალდა. მე მხოლოდ პატარა დამატებას დავურთავ **„ბნელების“ და „ჩამორჩენილების“** სახელით **„განათლებულების“ და „მოწინავეების“** გასაგონად:

ამერიკელებს აქვთ ასეთი გამოთქმა: **„ერთხელ მომატყუე, — შენი სირცხვილი; ორჯერ? — უკვე ჩემი სირცხვილი“ (ასე რომ გავბრიყვდიო)!** ჰოდა, ორჯერ კი არა, სახელმწიფო, რომელიც გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან გუშინდლამდე გამუდმებით იტყუებოდა, რომელსაც ამ უმძიმესი სისხლის სამართლის დანაშაულის ჩამდენი პირებიდან არავინ(!) არ დაუსჯია, დღეს უცებ ანგელოზი გახდა და მის გამოშვებულ ვაქცინებს, რომლებსაც სათანადო გამოცდაც არ გაუვლიათ უსაფრთხოებაზე და ეფექტურობაზე, უკვე ენდობით?! **განათლებულო წინმავალნო, ინფორმაციის დეფიციტი ხომ არ გაქვთ?!**

ჩვენ ისღა დაგვრჩენია, ახალ–ახალი ინფორმაცია მივაწოდოთ ხალხს იმის იმედით, რომ იგი მეტ სიფრთხილეს გამოიჩენს, ბრმად არ დაჰყვება არავის ზეწოლას და კრიტიკულად მიუდგება ვაქცინაციასთან დაკავშირებულ შემოთავაზებებს.

**ინფორმაციით აღჭურვილი ადამიანი ძნელი დასამონებელია! ვინც ინფორმაციას არ ეძებს, „იგი თავისა მტერია!“...**

**სახელმწიფოს მხრიდან ბუნებით მონიჭებული და კონსტიტუციით გამყარებული ჩვენი უფლებების შეზღუდვას, სახელმწიფო მოხელეების უფლებების შეზღუდვითვე უნდა ვუპასუხოთ, სახელმწიფოს მხრიდან ძალადობა კი ყველამ უნდა დავგმოთ. ამის სრული მორალური და კონსტიტუციური უფლება გვაქვს!**



**იაკობ ლეჟავა,**

15 აგვისტო, 2021

დასასრული. დასაწყისი იხ. „სრ“ № 170

№ 171. ხუთშაბათი, 26 აგვისტო, 2021 წელი.



## დეკანოზი ალექსანდრე ბალდავა:

# ეს არის საზოგადოების უმწიფრობა!

**სად მთავრდება რელიგია და სად იწყება მედიცინა. ცრურწმენა, რომლის გამოც ბევრი კოვიდის საწინააღმდეგო აცრის გაკეთებას ვერ ბედავს... ამ თემასთან დაკავშირებით რადიო თავისუფლება მიქაელ მთავარანგელოზის ტაძრის წინამძღვარს, დეკანოზს ალექსანდრე ბალდავას ესაუბრა.**

**– დღითი დღე იზრდება კოვიდინფიცირებულების რიცხვი, საზოგადოებაშიც სულ უფრო ხშირად ისმის კითხვა, ახლა მაინც რატომ არ მოუწოდებს ეკლესია, როგორც საკმაოდ გავლენიანი ინსტიტუცია, ხალხს აცრისკენ?**

– ეკლესიამ სინოდარული გადაწყვეტილებით მკაფიოდ თქვა, რომ კოვიდი და ვაქცინაცია არ არის რელიგიური თემა და ამით დაასრულა საუბარი. მოძღვარი, რომელიც ამ თემით სპეკულირებს და რელიგიური მოტივაციით აცრის წინააღმდეგ გამოდის, სინოდის გადაწყვეტილების წინააღმდეგ მიდის, რაც ძალიან ცუდია. ხალხმა ამას არ უნდა მოუსმინოს.

ამასთან, მართლმადიდებელი ეკლესია მხოლოდ საქართველოში ხომ არ არის? მთელ მსოფლიოში მაღალი იერარქები ვაქცინას განიხილავენ როგორც სიკეთეს. მაგალითად, ელადის (საბერძნეთის) ეკლესიის მეთაურმა ვაქცინა ღვთის საჩუქარს შეადარა. კონსტანტინოპოლის პატრიარქი და სინოდის წევრები ყველანი აიცრნენ.

ჩვენ პირდაპირ აცრისკენ არ მოვუწოდებთ, რადგან ეს ადამიანის სურვილზეა დამოკიდებული, მაგრამ მე ყოველთვის მივუთითებ საღი აზრისკენ, იმისკენ, რომ ქრისტიანობა სიფხიზლე და განსჯის უნარია. მთელი მსოფლიოს სამედიცინო სფერო თანხმდება ამ საკითხთან დაკავშირებით, ამიტომ მოძღვარმა ხალხს უნდა მოუხსნას ფსევდორელიგიური თუ ფსევდომედიცინური ილუზიები. ნდობა მორწმუნის ცხოვრებაში ძალიან მნიშვნელოვანი რამ არის. მაცხოვარი თავისი დაბადებით ადამიანებს ენდო. ის სრულიად მოწყვლადი ჩვილი იყო და ადამიანებს მისცა საშუალება, აღეზარდათ. ღმერთი ადამიანს ენდობა და ჩვენც უნდა ვენდოთ ერთმანეთს. მით უმეტეს, უნდა ვენდოთ ადამიანებს, რომლებიც ამ საქმეში კომპეტენტურები არიან. ეს წამალი შეიძლება იდეალური არ არის, მაგრამ დღეს საუკეთესო ვარიანტია, ამას ციფრები, სტატისტიკა ადასტურებს.

ზღაპრებს, ბოდვებს, ფანტაზიებს უნდა მოვეშვათ და რეალურ საფრთხეს ჩავხედოთ თვალებში.

**– ერთგვარ რელიგიურ დილეტანტიზმად მიიჩნევა, როცა მორწმუნე, თუნდაც რელიგიურ საკითხებთან დაკავშირებით, ყველაფერს მოძღვარს ეკითხება. რაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ მსგავს არარელიგიურ საკითხებზეც კი საზოგადოებას ვილაცისგან „ხელდასხმა“ სჭირდება?**

– ეს არის საზოგადოების უმწიფრობა, გადაწყვეტილების მიღების შიში. მაცხოვარი გვასწავლის, რომ შენ უნდა გადაწყვიტო, შენ უნდა გადადგა ნაბიჯი და ასეთ დროს შეცდომებიც დასაშვებია. მაცხოვარი გაუწყრა იმ ადამიანს, რომელსაც შეცდომის შეეშინდა და გამრავლების ნაცვლად ტალანტი უბრალოდ შეინახა. ზრდასრული ადამიანი პასუხისმგებლობის მქონე ადამიანს ნიშნავს. ის ამ პასუხისმგებლობას მოძღვარს, დედას ან მამას კი არ გადააბარებს, არამედ თვითონ აიღებს საკუთარ თავზე.

**– საიდან მოდის ის მითები, რომლებიც ვაქცინასთან დაკავშირებით ვრცელდება, ხშირად სასულიერო პირების მხრიდანაც?**

– რელიგიური ფოლკლორი მხოლოდ საქართველოს ეკლესიის პრობლემა არ არის. საერო საზოგადოებაშიც რამხელა ანტივაქსერული მოძრაობებია სრულიად არარელიგიურ ნიადაგზე?! ეს ზოგადად ადამიანის ფობიაა. ამასთან, რელიგიური ადამიანი კიდევ სხვა თვალით უყურებს მოვლენებს, მეორედ მოსვლა ხომ არ არის, ანტიქრისტეს ბეჭედი ხომ არ დამედებაო, ფიქრობს. მეორედ მოსვლის შიში ყოველთვის იყო და იქნება. ვერც ერთ ეკლესიას ვერ დაასახელებთ მსოფლიოში, ეს არ ახასიათებდეს. აგერ, ორი საუკუნის წინ გერმანელები საქართველოში ჩამოსახლდნენ, ეგონათ, მეორედ მოსვლა იქნებოდა და იერუსალიმთან ახლოს უნდოდათ ცხოვრება. ანუ გერმანიაშიც კი, სადაც რაციო მძლავრობს, მეორედ მოსვლის ფობიები ბობოქრობდა.

თუ მოძღვარმა წმინდა წერილის განმარტებები ცუდად იცის, ეკლესიის ისტორია ცუდად იცის, ის ნახევრად მოგონილ ამბებს გადასცემს მრევლს და ხალხში ცრუმორწმუნეობა იზრდება. ფეისბუკზე ხანდახან ისეთ სისულელეებს წერენ ხოლმე: „დაწერე „ამინ“ და გააზიარე მამა გაბრიელის ფოტო, რომ ყველა სურვილი შეგისრულდეს“. ქრისტიანობა თურმე მამა გაბრიელის ფოტოს გაზიარება ყოფილა. ეს განათლების ნაკლებობის ბრალია.

**– ომები, სტიქიური უბედურებები ბევრს მართლაც აფიქრებინებს, რომ აპოკალიფსურ ხანაში ვცხოვრობთ. მაგრამ თუნდაც თეოლოგიური თვალსაზრისით, აპოკალიფსის ნიშნებად მხოლოდ ომი და კატასტროფები მიიჩნევა?**

– ვისაც სწამს ქრისტე, მას სწამს ისიც, რომ ის მეორედ მოვა და ეს გამოცხადების წიგნში წერია. მაგრამ თვითონ გამოცხადების წიგნი წმინდა წერილში მოგვიანებით შევიდა. ის იმდენად რთული განსამარტი იყო, რომ პირველად წიგნებში არ მოიხსენიებდნენ. ეს არის ძალიან სათუთი წიგნი. ნიშნები, რომელიც გამოცხადების წიგნში არის აღწერილი, ყველა საუკუნეს შეიძლება მიესადაგოს, განსაკუთრებით საბჭოთა ეპოქას, როდესაც პირველად მსოფლიოში ათეისტური სახელმწიფო შეიქმნა და ეკლესიების დარბევა დაიწყეს. რაც კი ნიშანია გამოცხადებაში, 1918-1924 წლებში ყველაფერი იყო, თავისი მავზოლეუმით და დაუმარხავი ლენინით. მაშინაც ყველას ეგონა, რომ აპოკალიფსი დადგა. ჩემს თავს წარმოვიდგენ ხოლმე და ალბათ, მეც ძალიან დავეჭვდებოდი. მაგრამ აპოკალიფსს თავისი მკაფიო ნიშნები აქვს, რომელიც უნდა მოხდეს. არ ხდება და რა გავაკეთოთ?! არავინ იცის, ის როდის იქნება, ვისაც კი წაუცდა ხელი და დაიწყო ამ დროის გამოთვლა (მათ შორის, წმინდანებიც), ყველა შეცდა!

ესაუბრა
**თეა თოფურია,**
**„რადიო თავისუფლების“ ჟურნალისტი.**



# პანდემიამ ქვეყანა გააღატაკა!

**ეპიდემიურმა სიტუაციამ საქართველოს სოციალური და ეკონომიკური ცხოვრების დონე მკვეთრად გააუარესა. გარდა იმისა, რომ მოსახლეობა გაღარიბდა და შემწეობის მიმღებთა წრე გაფართოვდა, მუდმივად მატულობს იმ ადამიანთა რაოდენობა, რომელიც შემწეობას ითხოვს. მათი რიცხვი 1 მილიონს აღემატება.**

როგორც პროფესორი **პაატა აროშიძე** ოფიციალურ მონაცემებზე დაყრდნობით ამბობს, სიღარიბის მასშტაბური ზრდა დასაქმების კლებას უკავშირდება, რაც პანდემიური პროცესით არის გამოწვეული.

**„კოვიდ-19-ის გამო ხალხმა დაკარგა თუნდაც ის დროებითი დასაქმების შესაძლებლობა, სეზონური სამუშაოები საზღვარგარეთ, სადაც ადრე წასვლა შეეძლო. ზაფხულის პერიოდში ქართველები აქტიურად მუშაობდნენ თურქეთში, საბერძნეთში, პოლონეთსა და კიდევ რამდენიმე ქვეყანაში. სეზონურ სამუშაოებზე ლიმიტია დაწესებული, რაც დასაქმებას აფერხებს. აქაც შემცირებულია სამუშაო ადგილები და ხალხი ძალაუნებურად უმუშევართა დიდ არმიას, სოციალურად დაუცველთა რიგს შეუერთდა. ცხადია, ეს ცუდია, მაგრამ უფრო ცუდია ის ფაქტი, რომ სოფლის მეურნეობაში ალტერნატიული დასაქმება პრობლემაა. გაჩნდა გარკვეული იმედი, რომ ხალხი სოფელს მიუბრუნდებოდა, მეტ მოსავალს მოიყვანდნენ აითვისებდნენ აქამდე აუთვისებელი მიწის ნაკვეთებს, მაგრამ არც ასე მოხდა“,** – აცხადებს პაატა აროშიძე.

მისი თქმით, სასურველი იყო, მთავრობას მეტი დახმარება გაეწია კვების მრეწველობის, გადამმუშავებელი წარმოებისთვის, რომლის ბაზაც გვექნებოდა.

**„აგრარულ სფეროში დიდი ფული იხარჯება, მაგრამ არ გვაქვს ის ვითარება, რომ ეს რესურსი ეროვნული წარმოების ზრდას მოხმარდეს. მართალია, ტურიზმი სწრაფად აღდგენადი დარგია, მაგრამ ეპიდემიური სიტუაციის გამო ესეც ჭირს. დღეს ჩვენ სხვა გამოსავალი არ გვაქვს, უნდა შემოვბრუნდეთ ეროვნული ეკონომიკისკენ, განვავითაროთ მრეწველობა, სოფლის მეურნეობა ადგილობრივი რესურსების ამოქმედებით, რაც შეამცირებს როგორც იმპორტის მასშტაბს, ასევე საგარეო ვალის მოცულობასაც, გაზრდის დასაქმების დონეს და შესაბამისად, მოსახლეობის შემოსავლებიც გაიზრდება“,** – ამბობს აროშიძე.

**სტატისტიკის სამსახურის მონაცემებით, მხოლოდ ერთ თვეში საარსებო შემწეობის მიმღებთა რაოდენობა 66 609 ადამიანით გაიზარდა და 2021 წლის ივლისში 622 266 შეადგინა. გასული წლის ანალოგიურ პერიოდში კი საარსებო შემწეობას 487 790 ადამიანი იღებდა. ზრდა 27,5%-ია.**

**გაიზარდა სოციალური მომსახურების სააგენტოს ბაზაში რეგისტრირებულთა რაოდენობაც, ანუ მათი რიცხვი, ვინც თვლის, რომ ღარიბია და დახმარებას საჭიროებს. უფრო კონკრეტულად, 2021 წლის ივნისში ასეთი ადამიანების რიცხვი 1 054 567 იყო, ივლისში კი 1 059 422 შეადგინა.**

**მართლაც საგანგაშო ციფრია!**

## ეპიდემიოლოგები 12 წლის ზემოთ მოზარდების ვაქცინაციის აუცილებლობაზე საუბრობენ

დაავადებათა კონტროლის ცენტრის ხელმძღვანელის მოადგილე პაატა იმნაძე იმედს გამოთქვამს, რომ შემოდგომიდან საქართველოში 12 წელს ზემოთ მოზარდების ვაქცინაცია დაიწყება.

**„ბევრმა ქვეყანამ უკვე დაიწყო 12 წლის ასაკიდან მოზარდების აცრა, ჩვენთანაც უკვე მიმდინარეობს ამაზე აქტიური მსჯელობა. იმედი მაქვს, რომ შემოდგომიდან ეს პროცესი დაიწყება“,** – აცხადებს პაატა იმნაძე. ალერგოლოგ-იმუნოლოგის ბიძინა კულუმბეგოვის განცხადებით, ბავშვები ხშირად აგენერირებენ ინფექციას, როდესაც სოციალური აქტივობით არიან დაკავებულები.

**„თუ გვინდა ბავშვები დავაბრუნოთ სკოლასა თუ ბაღში, აუცილებელია, რომ ბავშვების იმუნიზაციის საკითხი დადგეს. ჯანმოში ჯერ არ არის გამოცხადებული „ფაიზერის“ ვაქცინის გამოყენების მიზანშეწონილობა დაბალ ასაკობრივ ჯგუფში. შემოდგომისთვის ბავშვების აცრა აუცილებელია და მხარს დავუჭერ ამის დაწყებას“,** – აცხადებს კულუმბეგოვი.

## ამირან გამყრელიძე: ეპიდვითარების სტაბილიზაციის ნიშნები უკვე ჩანს...



**როდის დაიწევს მეოთხე ტალღის პიკი, რაც ჯანდაცვის სექტორს ამოსუნთქვის შესაძლებლობას მისცემს – როგორც დაავადებათა კონტროლის ცენტრის ხელმძღვანელი ამირან გამყრელიძე „ქრონიკასთან“ საუბრისას ამბობს, ეპიდვითარების სტაბილიზაციის ნიშნები უკვე ჩანს, რადგან შემთხვევებს შორის დღიურ მაჩვენებელში დიდი სხვაობა აღარ არის.**

ამირან გამყრელიძის თქმით, ამ ყველაფერზე რამდენიმე ფაქტორმა იმოქმედა, მათ შორის მობილობის შეზღუდვამ და მოსახლეობამ, რომელიც შედარებით მეტად იცავს რეკომენდაციებს. გამყრელიძე მოსახლეობას ხაზგასმით მოუწოდებს, ატარონ პირბადე და ჩაერთონ მასობრივ ვაქცინაციაში, რაც ავტომატურად პანდემიის დასრულებას ნიშნავს.



## ლევან რატიანი: ვაქცინირებულ პაციენტებში ფილტვის დაზიანების სიმძიმის ხარისხი მკვეთრად ნაკლებია

**„მინდა, ჩემი კლინიკის მაგალითზე გითხრათ, რომ უამრავი პაციენტი მყავს გატარებული, როგორც ვაქცინირებული, ისე არავაქცინირებული. მაგრამ ჩემდა საბედნიეროდ, ჩემი თვალით დავინახე, რომ ვაქცინირებულ პაციენტებში ფილტვის დაზიანების სიმძიმის ხარისხი მკვეთრად ნაკლებია. ასეთ პაციენტებს არ სჭირდებათ რეანიმაციული მეთვალყურეობა. შესაძლებელია პაციენტი იყოს ინფიცირებული, მაგრამ მას მხოლოდ და მხოლოდ მცირე სიმპტომატიკით გამოუვლინდეს COVID-19-ის დაავადება. ამიტომ, კიდევ ერთხელ მინდა გითხრათ, არ მაინტერესებს არავის პირადი ამბიცია. მაინტერესებს ერთი რამ, რომ ჩემს ქვეყანას ჰყავდეს ნაკლები გარდაცვლილი პაციენტი“,** – განაცხადა რატიანმა.

◉ მოთხოვნა ზუგდიდიდან

# ვინ მფარველობს აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარეს რუსლან აბაშიძეს?!

ამ დღეებში ზუგდიდში დევნილთა საპროტესტო აქცია გაიმართა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავჯდომარის რუსლან აბაშიძის გადადგომის მოთხოვნით.

**„აბაშიძე შემჩნეულია კორუფციაში, საბიუჯეტო თანხების დატაცებაში, რის გამოც თანამდებობიდან გადადგნენ ფინანსთა სამინისტროს თანამშრომლები, მინისტრის ჩათვლით და საქმეს პროკურატურა იძიებს, მას არანაირი ურთიერთობა არ აქვს დევნილებთან, მხოლოდ საკუთარი კეთილდღეობისთვის ზრუნავს, ამიტომაც ჩვენ არ გვინდა ასეთი მთავრობის თავმჯდომარე“,** — აღნიშნა აფხაზეთიდან დევნილმა რამინ საჯაიამ, რომელიც რუსლან აბაშიძემ სრულიად უმიზეზოდ განათლების მინისტრის მრჩევლის თანამდებობიდან გაათავისუფლა.

რუსლან აბაშიძე ორ წელზე მეტია „ხელმძღვანელობს“ აფხაზეთის მთავრობას. ამ ხანგრძლივ პერიოდში ის საერთოდ არ გამოჩენილა არსად, ამიტომაც დევნილები გამოთქვამენ გაკვირვებას, თუ ვისი რეკომენდაციით დაიკავა მან ეს თანამდებობა. მისი დანაშაულებრივი საქმიანობის შესახებ მრავალი სტატია გამოქვეყნდა ქართულ ბეჭდურ მედიაში, მათ შორის ჩვენს გაზეთშიც. **მაგრამ რა? დუმს საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება, დუმს აფხაზეთის უმაღლესი საბჭო, უფრო მეტიც, გავრცელებული ინფორმაციით, ის მოახლოებულ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში დევნილთა საარჩევნო შტაბის უფროსადაც დაუნიშნავთ, ამიტომაც ხელისუფლებას დევნილებისგან მათი მხარდაჭერის იმედი არ უნდა ჰქონდეთ, რადგან დევნილები მას არ იცნობენ და არანაირი ავტორიტეტითაც არ სარგებლობს.**



28 წელია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო და მთავრობა დევნილობაშია და თბილისში ფუნქციონირებენ. ამ ხნის მანძილზე ასეთი უსუსურნი და უმოქმედონი ისინი არასოდეს ყოფილან...

უნდა აღინიშნოს, რომ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს კონსტიტუციით, არ აქვს უფლება, ჩაერიოს მთავრობის საქმიანობაში, არც მთავრობის თავმჯდომარის დანიშვნა თუ გადაყენება შეუძლია. გამომდინარე აქედან, ასეთი უფუნქციო სტრუქტურის არსებობას აქვს კი აზრი? არც ცენტრალური ხელისუფლება იწუხებს თავს, მათგანაც სრულიად იგნორირებულია აფხაზეთის მთავრობა. აბაშიძესაც მეტი რა უნდა და თავის გემოზე ანიავებს აფხაზეთის 11-მილიონიან ბიუჯეტს. ასე რომ, დევნილები გაჩერებას არ აპირებენ, აქციები გრძელდება, მათ არ ასვენებთ ერთი მთავარი კითხვა, თუ ვინ მფარველობს რუსლან აბაშიძეს!!!

**რაც შეეხება ისეთ მნიშვნელოვან საკითხს, თუ სად უნდა ფუნქციონირებდეს აფხაზეთის მთავრობა — თბილისსა თუ ზუგდიდში. ეს საკითხი პირველმა დასვა რუსლან აბაშიძის მიერ განათლებისა და კულტურის მინისტრობის თანამდებობიდან გათავისუფლებულმა ბატონმა როლანდ ნიჟარაძემ. მისი მოთხოვნა იყო, რომ აფხაზეთის მთავრობა განთავსებულიყო ზუგდიდში, აფხაზეთთან და აფხაზებთან ახლოს, რაც უსათუოდ მისაღები და მოსაწონია.**

**ლადო ქირია,**
ზუგდიდიდან

## მსოფლიო ბანკმა ავღანეთში პროექტების დაფინანსება შეაჩერა

**რადიკალური მოძრაობა „თალიბანის“ მიერ ავღანეთზე კონტროლის დამყარების შემდეგ, მსოფლიო ბანკმა ავღანეთში პროექტების დაფინანსება შეაჩერა.**

მსოფლიო ბანკში აცხადებენ, რომ ორგანიზაცია შეშფოთებულია ავღანეთში არსებული ვითარებით და ქვეყნის განვითარებაზე მისი გავლენით, განსაკუთრებით ქალებისთვის.

**„ავღანეთში ოპერაციები შევაჩერეთ და ჩვენი შიდა პოლიტიკისა და პროცედურების შესაბამისად, სიტუაციას ყურადღებით ვაკვირდებით და ვაფასებთ. ჩვენ გავაგრძელებთ მჭიდრო კონსულტაციებს საერთაშორისო საზოგადოებასთან. ჩვენს პარტნიორებთან ერთად ჩვენ ვიკვლევთ გზებს, რომლითაც შევძლებთ ჩართულნი ვიყოთ, რათა შევინარჩუნოთ განვითარების მიღწევები და გავაგრძელოთ ავღანელის ხალხის მხარდაჭერა“,** — განაცხადა მსოფლიო ბანკის წარმომადგენელმა.

2002 წლიდან მსოფლიო ბანკმა ავღანეთში განვითარების პროექტების განხორციელებისთვის 5.3 მილიარდზე მეტი დოლარი გამოყო.



**ასლან ბჟანია:**

# რუსეთთან ინტეგრაციას ცხოვრება გვაიძულებს!

## მოსკოვის ზღაპრები თბილისისთვის და სიზმრები აფხაზეთისთვის...

**2008 წლის აგვისტოს ომის მე-13 წლისთავზე რუსეთმა საქართველოსთან „სრულფასოვანი ორმხრივი ურთიერთობების აღსადგენად მზადყოფნის“ შესახებ განაცხადა. რუსეთის საგარეო პოლიტიკური უწყების შესაბამის განცხადებას წინ უსწრებდა გაეროს უშიშროების საბჭოს რიგი წევრი ქვეყნებისა (ბრიტანეთი, საფრანგეთი, აშშ, ირლანდია, ნორვეგია, ესტონეთი) და ალბანეთის (2022-23 წ.წ. გაეროს უშიშროების საბჭოს არამუდმივი წევრების რიგებში დაიკავებს ადგილს) ერთობლივი მოწოდება მოსკოვს, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან ჯარები გაიყვანოს.**

**„რუსეთში არასოდეს სვამდნენ ტოლობის ნიშანს სააკაშვილის დანაშაულებრივ რეჟიმსა და ქართველ ხალხს შორის. ჩვენ მზად ვართ ჩვენს ქვეყნებს შორის ურთიერთობების აღსადგენად იმ ზღვრამდე, სადამდეც ქართული მხარე იქნება მზად“,** — განაცხადა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო დეპარტამენტის დირექტორის მოადგილემ ალექსანდრე ბიკანტოვმა.

თუმცა მოსკოვის მიერ გამოთქმული მზადყოფნა რუსული მხარის კონკრეტულ პირობებს ემყარება, კერძოდ, იმას, რომ რუსეთი თავის საერთაშორისო ვალდებულებებს არ შეასრულებს. მოსკოვს სურს: 1) თბილისმა სოხუმი და ცხინვალი აღიაროს და 2) დაივიწყოს დასავლეთი.

**„ვიმედოვნებთ, საღი აზრი გაიმარჯვებს და ჩვენი ქართველი პარტნიორები დაიწყებენ მეზობლებთან ურთიერთობების მშენებლობას ინტერესთა ბალანსის დაცვით. ეს სრულად ეხება თბილისის გარე კურატორებსაც: დიდი ხანია, დროა, მათ უარი თქვან აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საქართველოში „რეინტეგრაციის“ ხაზზე და რეალობისგან მოწყვეტილი თეზისების ტირაჟირების ნაცვლად, მოახდინონ თბილისის სტიმულირება სოხუმსა და ცხინვალთან თანასწორუფლებიანი, ურთიერთპატივისცემაზე დამყარებული ურთიერთობების ჩამოყალიბებისათვის“,** — განაცხადა ალექსანდრე ბიკანტოვმა.

**თბილისში საპასუხოდ იმაზე მიანიშნეს, რომ მზად არიან ეკონომიკური, ჰუმანიტარული, სხვა შესაძლო სახის კავშირების აღსადგენად და მეტიც — მოსკოვისგან კონკრეტულ წინადადებებსაც კი ელიან, მაგრამ საქართველოს ტერიტორიების დეოკუპაციამდე დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენაზე საუბარიც კი ზედმეტია.**

**„ამ საკითხში ძალზე მკაფიო პოლიტიკა გვაქვს: არსებობს წითელი ხაზები, რომლებიც დეოკუპაციასა და ჩვენს დასავლურ ინტეგრაციას უკავშირდება. ყველაფერი, რაც ამ წითელი ხაზების ფარგლებშია, მთლიანობაში, შესაძლებელია, განვიხილოთ. ეს ნიშნავს, რომ ჩვენ წითელ ხაზებს არ გადავკვეთთ. სხვა დანარჩენში კი ჯერ უნდა ვნახოთ, რაზეა საუბარი“,** — განაცხადა მმართველი პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძემ.

თბილისელი დამკვირვებლების უმრავლესობა საქართველოს ხელისუფლებას მოსკოვისკენ შემხვედრი ნაბიჯების გადადგმაში აჩქარებას არ ურჩევს და იმაზე მიუთითებს, რამდენად არასანდო და საშიშია რუსულ მხარესთან შუამავლების გარეშე საუბარი.

თბილისის დასავლელმა პარტნიორებმა, როგორც რუსეთის საგარეო უწყების მიმართვის ნაწილის ადრესატებმა, ასევე მოუწოდეს საქართველოს ხელისუფლებას სიფრთხილისკენ. დასავლეთი იმაზე მიუთითებს, რომ მოლაპარაკებათა პროცესი ისედაც არსებობს და ნებისმიერი დაახლოება კონსტრუქციული ნაბიჯებით უნდა იყოს განპირობებული იმ მიმართულებებით, რომლებიც ჟენევის ფორმატში უკვე განიხილება.

**„მსგავსი გზავნილები ქართველებს ადრეც მოუსმენიათ, მაგრამ მათ სერიოზულად აღსაქმელად მნიშვნელოვანია, რუსეთმა უპირველესად, ჯარი გაიყვანოს საქართველოდან. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს დეზინფორმაციის გავრცელების მორიგი მაგალითი იქნება და სხვა არაფერი. რუსეთმა უნდა გაიყვანოს თავისი ჯარი, გაიწვიოს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის აღიარების გადაწყვეტილება და დაუყოვნებლივ გახსნას ჰუმანიტარული დერეფნები. დიალოგისთვის კი ჟენევის საერთაშორისო დისკუსიების ფორმატი არსებობს“,** — განაცხადა საქართველოში აშშ-ის ელჩმა კელი დეგნანმა.

რაც შეეხება სოხუმსა და ცხინვალს, ამ დღეებში დე ფაქტო ხელისუფლებების წარმომადგენლები რუსი პოლიტიკოსების კვალდაკვალ ტრადიციულად აძაგებდნენ თბილისსა და მის დასავლელ პარტნიორებს, პარალელურად კი აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის „დამოუკიდებელ სახელმწიფოებად“ ჩამოყალიბებაში მოსკოვის როლს ადიდებდნენ და ცდილობდნენ, არ გაეხსენებინათ ის მძიმე რეალობა, რომელიც მათი „დამოუკიდებლობის“ აღიარებიდან გასული 12 წლის მანძილზე “სტრატეგიულ პარტნიორ“ რუსეთთან თანამშრომლობის შედეგად ოკუპირებულ რეგიონებში ჩამოყალიბდა, ისევე, როგორც მოსკოვის ანექსიური გეგმები, რომლებიც ბოლო დროს რუსეთიდან უკვე ღიად ჟღერს.

ამ გეგმების მორიგი გაჟღერებისგან მოსკოვში ვერც ამ დღეებში შეიკავეს თავი. ოდიოზურმა მწერალმა და პოლიტიკოსმა ზახარ პრილეპინმა კიდევ ერთხელ განაცხადა „ამ ტერიტორიების“ მიერთების „აუცილებლობის“ შესახებ.

**„რუსეთმა უფრო აქტიურად უნდა დაიცვას თავისი ინტერესები პოსტსაბჭოთა სივრცეში, წინააღმდეგ შემთხვევაში დასავლეთის ზეწოლა მხოლოდ გაიზრდება. ყველა ამ ტერიტორიასთან მიმართებაში (დნესტრისპირეთის, ლუგანსკის, დონეცკის სახალხო რესპუბლიკებისა და თუნდაც არცახის ჩათვლით) იგივე უნდა გაკეთდეს, რაც ყირიმის მიმართ მოვიმოქმედეთ: უნდა ვაღიაროთ და მივიღოთ. და ბანერიც გამოვაკრათ — „თემა დახურულია“. ამასაც ისევე სწრაფად შეეგუებიან, როგორც ყირიმს, დასავლეთი ხომ ყირიმის თემას წინა რიგებში აღარ აყენებს: ბაიდენს სიტყვა „ყირიმი“ პუტინთან შეხვედრაზე არც კი უხსენებია... ამგვარად, სადაც რუსეთი თემას ხურავს, მას სხვაც აღარავინ აყენებს, ხოლო სადაც არა — იქ ხელებს გვიგრეხენ და ამას არასოდეს შეწყვეტენ, არასოდეს!“,** — დაწერა პრილეპინმა თავის Telegram-არხში.

რუსეთის სახელმწიო სათათბიროს დეპუტატმა ვიტალი მილონოვმა კი გამოთქვა მოსაზრება, რომ **„აშშ-ისა და მისი მეგობრებისთვის გაცემული საუკეთესო პასუხი (აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის — რედ.) არა მარტო აღიარება, არამედ რუსეთთან სამოკავშირეო სახელმწიფოსთან (ბელარუსთან, სომხეთთან და დნესტრისპირეთთან ერთად — რედ.) მიერთება იქნებოდა“.**

**„ეს იქნება ახალი სსრკ, ახალი — უფრო მჭიდრო პრინციპებით“,** — განაცხადა მილონოვმა.

ამასთან, იტვირთა რა ერთდროულად ნათელმხილველისა და სიზმრების ინტერპრეტატორის როლი, მან იმის მტკიცებაც კი დაიწყო, რომ **„აფხაზეთში მცხოვრებთა უმრავლესობა იღვიძებს ერთი ოცნებით — კვლავ მიუერთდეს მშობლიურ რუსეთს, რადგან აფხაზეთი რუსეთის შემადგენლობაში იყო“.**

ანუ, **თუ აფხაზეთის მცხოვრებლები მოსკოვისთვის საჭირო სიზმრებს თავად ვერ ხედავენ, მოსკოვი ამ სიზმრებს მათ ნაცვლად „ნახავს“, შემდეგ თავად ჩაუტარებთ რეფერენდუმს და თავადვე დაითვლის ხმებს — „როგორც დონბასში“. მაგრამ მათი „დამოუკიდებლობის“ დასასრული ასეთ შემთხვევაში სულაც არ იქნება დამოუკიდებელი. აფხაზმა ლიდერმა ასლან ბჟანიამ ორიოდ თვის წინ უკვე აცნობა მოსახლეობას, რომ აფხაზეთს „რუსეთის მიერ ინიცირებულ საინტეგრაციო პროცესში მონაწილეობა“ მოუწევს — „ეს რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინის შემოთავაზებაა“ და „ცხოვრება გვაიძულებსო“. შესაბამისი სიზმრების საფუძველზე გააკეთა მან ეს, თუ კრემლის წნეხის ქვეშ — ძნელი მისახვედრი არაა. ბჟანიას მხრიდან უკვე გაიჟღერა ისეთმა სიტყვებმაც, როგორიცაა „რეფერენდუმი“ და „სამოკავშირეო სახელმწიფო“.**

**ახლა ბურთი აფხაზეთის მოსახლეობის მოედანზეა: მისი გადასაწყვეტია, დაიწყოს მოსკოვის მიერ ნაკარნახევი სიზმრების ხილვა, თუ განაგრძოს „სტრატეგიული მეგობრის“ წინაშე ეროვნული ინტერესების დაცვა.**

# „დიდი შვიდეულის“ ქვეყნები ერთობლივ განცხადებას ავრცელებენ...

**„დიდი შვიდეულის“ ქვეყნებმა ავღანეთთან დაკავშირებით განცხადების მიხედვით, „დიდი შვიდეულის“ ქვეყნები შეშფოთებას გამოთქვამენ ავღანეთში არსებული სიტუაციის გამო და ჰუმანიტარული კრიზისის პრევენციისთვის, ასევე ავღანელებისა და უცხო ქვეყნის მოქალაქეების უსაფრთხოებისა და დაცვისთვის მხარეებს სიმშვიდისკენ მოუწოდებენ.**




აქვე, „დიდი შვიდეულის“ ქვეყნები მხარეებს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის ვალდებულებების, მათ შორის ქალების, გოგონებისა და უმცირესობების ჯგუფების უფლებების დაცვისკენ მოუწოდებენ. რომ საერთაშორისო საზოგადოებასთან ერთად „დიდი შვიდეულის“ ქვეყნები „თალიბანს“ განსჯიან ტერორიზმის პრევენციისთვის, აგრეთვე ქალების, გოგონების და უმცირესობების უფლებებისთვის განხორციელებული ქმედებების მიხედვით და „ნებისმიერი მომავალი მთავრობის ლეგიტიმურობა, დამოკიდებული იქნება ავღანეთის საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების მიმართ მათი მიდგომიდან გამომდინარე“.

**„დიდი შვიდეულის“ ქვეყნები პარტნიორებთან და ნატო-ს მოკავშირეებთან ერთად გააგრძელებენ ტერორიზმთან ბრძოლას და ავღანეთის ნებისმიერ მომავალ მთავრობას მოუწოდებენ, რომ დაიცვას ავღანეთის მიერ აღებული საერთაშორისო ვალდებულებები, მათ შორის ტერორიზმისგან დაცვა, ყველა ავღანელის უფლებების, განსაკუთრებით ქალების, ბავშვებისა და ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების უფლებების და კანონის უზენაესობის დაცვა, ასევე — არ დაუშვას ნარკოტიკებით და ადამიანებით ვაჭრობა.**

**გარდა ამისა, „დიდი შვიდეულის“ ქვეყნები ყველა მხარეს ინკლუზიური და წარმომადგენლობითი მთავრობის შექმნისკენ მოუწოდებენ, ქალების და უმცირესობების ჯგუფების მნიშვნელოვანი ჩართულობით.**

## განცხადება
# აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306$^{I}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ალექსი მელაძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთების მესაკუთრე:** ალექსი მელაძე (პ/ნ 24001008539), კასპი, სოფელი რენე

2. **უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**

კასპი, სოფელი რენე (საკადასტრო კოდი: 67.02.36.269).

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

**უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 26463.20 ლარი;

**აუქციონის დაწყების თარიღი:** 2021 წლის 25 აგვისტო, 14:00 საათი.

**აუქციონის დასრულების თარიღი:** 2021 წლის 8 სექტემბერი, 14:00 საათი.

**აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

**ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP73099021;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 730990

3. **უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**

კასპი, სოფელი რენე (საკადასტრო კოდი: 67.02.36.053).

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

**უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 26463.20 ლარი;

**აუქციონის დაწყების თარიღი:** 2021 წლის 25 აგვისტო, 14:00 საათი.

**აუქციონის დასრულების თარიღი:** 2021 წლის 8 სექტემბერი, 14:00 საათი.

**აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

**ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP73098821;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 730988

4. **მოვალე:** ალექსი მელაძე (პ/ნ 24001008539), კასპი, სოფელი რენე;
მზია ქასოშვილი (პ/ნ 24001033298), კასპი, სოფელი რენე

5. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.

6. **აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი — ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

7. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (1. განაცხადის №71271HZP73099021; ლოტის ნომერი: 730990; 2. განაცხადის №71271HZP73098821; ლოტის ნომერი: 730988).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2021 წლის 8 სექტემბრის 10:00 საათამდე.

## განცხადება
# აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306$^{I}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს მეორე აუქციონს ანა სატკუნაიტეს საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ანა სატკუნაიტე (პ/ნ 01005018737), თბილისი, დიღმის მასივი, 4 კვ, კორპ. 25, ბინა 84

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**

თბილისი, ჩაჩავას ქ. №4, სართული 12, ბინა 164 (საკადასტრო კოდი: 01.13.02.004.063.01.01.164).

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 83243 ლარი;
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2021 წლის 25 აგვისტო, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2021 წლის 8 სექტემბერი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP73097021;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 730970

6. **მოვალე:** ანა სატკუნაიტე (პ/ნ 01005018737), თბილისი, დიღმის მასივი, 4 კვ, კორპ. 25, ბინა 84.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.
8. **აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი — ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP73097021; ლოტის ნომერი: 730970).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2021 წლის 8 სექტემბრის 10:00 საათამდე.

## განცხადება
# აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306$^{I}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს მეორე აუქციონს ზვიადი გუდუა თუზბაიას საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ზვიადი გუდუა თუზბაია (პ/ნ 01001091130), ზუგდიდი, შ. რუსთაველის 159

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**

თბილისი, ქერჩის ქ. №34, სართული 12, ბინა №134 (საკადასტრო კოდი: 01.11.05.029.228.01.01.134).

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 58253.4 ლარი;
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2021 წლის 25 აგვისტო, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2021 წლის 8 სექტემბერი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP73098021;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 730980

6. **მოვალე:** ზვიადი გუდუა თუზბაია (პ/ნ 01001091130), ზუგდიდი, შ. რუსთაველის 159.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.
8. **აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი — ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP73098021; ლოტის ნომერი: 730980).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2021 წლის 8 სექტემბრის 10:00 საათამდე.

ტრაგედიის შემდეგ

# დიახ, ეს ვაჟას საქართველოა!



**ზურაბ ზვიადაურს ბევრი ეფიცებოდა ძმობას, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ოლიმპიური ჩემპიონი გახდა და, მით უმეტეს, როცა ბიძინა ივანიშვილმა გვერდით დაიყენა და პარლამენტის დეპუტატობა ანდო.**

სად არის დღეს მათი უმრავლესობა, როცა საამაყო თანამემამულე განსაცდელშია? რასაკვირველია, ჩირგვებშია შემძვრალი, გარდა სპორტული სამყაროსი და ერთეული პოლიტიკოსებისა, რაც არცაა გასაკვირი: სამწუხაროდ, ეს ხომ ადამიანის თვისებაა, რომ მოყვასს, რომელსაც მისი ზეობისას წუთითაც არ შორდებოდა, მაშინ უგანოს, ფეხი რომ გადაუბრუნდება და თანადგომა ყველაფერზე მეტად სჭირდება.

არავის ეგონოს, რომ ტატამისა და კაცობის დიდოსტატთან გამორჩეული ურთიერთობა მაკავშირებდეს. ნეტავი ასე იყოს, მაგრამ ტყუილი რა საკადრისია. უბრალოდ, ერთ-ერთი პრესტიჟული ტურნირის დროს მოგვიწია თანამშრომლობა და ჩვენმა **ალექსანდრე კოტორაშვილმა,** ექსტრაკლასის ფოტოხელოვანმა სწორედ მაშინ აღგვბეჭდა მორიგი დინამიური ეპიზოდით აღფრთოვანებულები ფირზე.

სამაგიეროდ, როგორც მისი რიგითი გულშემატკივარი, თავს ვალდებულად მივიჩნევ, ამ მძიმე დღეებში სათქმელი მოკლედ მოვჭრა.

პოპულარული „გაზაფხულის ჩვიდმეტი გაელვებისა“ არ იყოს, მრავალშვილიან ოჯახში აღზრდილი მთის შვილი ათენის ტრიუმფიდან და დაოჯახებიდან 17 წლის შემდეგ ნანატრ პირველ გოგონას ელოდება და, მომხდარი ტრაგედიის უკვე გაჟღერებული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, შესაძლებლად ვთვლი, მართლმსაჯულებამ საშუალება მისცეს გაუბედურებულ მშობლებსა და დედობის მომლოდინე ძვირფას მეუღლეს დაუბრუნდეს.

არანაკლებ საფუძვლიან არგუმენტს წარმოადგენს დაღუპული ძმის – **ზვიად ზვიადაურის** ოთხი დაობლებული შვილის გზაზე დაყენების ფაქტორი – მათ ხომ სწორედ ამ მძიმე დღეებში უნდა გაუწიონ მამობა ბიძებმა – **სპარტაკ** და ზურაბ ზვიადაურებმა?

და, რაც მთავარია – ღირსეული შემხვედრი ნაბიჯის გადასადგმელად შინაგანი ძალა **ნიკა კენჭოშვილის** მამამაც გამონახა და მხარეებმა დაღვრილი სისხლის გამო ერთმანეთს მიუსამძიმრეს.

დიახ, ეს ვაჟას საქართველოა!

**გია პლატონიშვილი**

ეს ერთი და სხვა მრავალი



# „ვერცხლით“ დავიწყეთ!

სალომე ზურაბიშვილი **ნინა თიბილაშვილს** ტოკიოს პარალიმპიურ თამაშებზე ვერცხლის მედლის მოპოვებას ულოცავს.

**„საქართველოს პირველი მედალი პარალიმპიურ თამაშებზე, გილოცავთ“!** – სალომე ზურაბიშვილი .

პარამოფარიკავე ნინა თიბილაშვილი ტოკიოს პარალიმპიური თამაშების ვერცხლის მედალოსანია. ფინალში ის ჩინელ ბიან ძინთან 7:15 დამარცხდა.

შანსი

# ქამი რევანშისა

**როგორც მოგეხსენებათ, შარშან ევროპის ხელბურთელთა ჩემპიონატის პლეიოფში ფინეთთან დავმარცხდით. და აი, რევანშის შანსი, თანაც – ორმაგი.**

საუბარია უმაღლესი რანგის ფორუმების წილისყრაზე, რომელმაც მეტოქეებად ისევ სკანდინავიელები გვარგუნა.

**2023 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი.**

I **ჯგუფი:** ბელგია, თურქეთი, საბერძნეთი, კოსოვო;

II **ჯგუფი:** ფინეთი, ესტონეთი, **საქართველო,** დიდი ბრიტანეთი;

III **ჯგუფი.** რუმინეთი, ისრაელი, კვიპროსი, მოლდოვა;

IV **ჯგუფი:** ლატვია, იტალია, ლუქსემბურგი, ფარერები.

მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე ორ-ორი საუკეთესო გუნდი ითამაშებს.

**2024 წლის ევროპის ჩემპიონატის პლეი-ოფი:** საქართველო – ფინეთი, თურქეთი – კვიპროსი, ლატვია – ბულგარეთი, ლუქსემბურგი – ბელგია. ამ წყვილებში გამარჯვებულნი კონტინენტის პირველობის დასკვნით შესარჩევ რაუნდში იასპარეზებენ, საიდანაც 4-გუნდიანი ჯგუფებიდან უძლიერესთა დუეტები და ოთხიც საუკეთესო მესამეადგილოსანი გერმანიაში გაემგზავრება და იქ ევრო – 2024-ის მედლებისთვის 24 ელიტური ნაკრები იბრძოლებს.

შეგახსენებთ, რომ 43 წლის ახალი რუმინელი მთავარი მწვრთნელის – **ფლორინ იაკობ სანდუს** თავკაცობით „ჯვაროსნებმა“ წლეულს ივნისში თბილისში გამართული ევროპის ერთა თასის გათამაშება მოიგეს, კარპატელ სპეციალისტს კი ზურგს სამშობლოში ხუთ კლუბსა და ახალგაზრდულ ნაკრებში მოღვაწეობა უმაგრებს.



ფიცარნაგი



წარმატებით ჩაება პოლონეთში დაწყებულ ჭაბუკ ძალოსანთა ევროპის ჩემპიონატში საქართველოს ნაკრები

# შტანგასთან ჭიდილში

(მთავარი მწვრთნელი – **ზურაბ ანთაური,** მწვრთნელი – **დავით ხარატიშვილი**), რომელმაც ორ დღეში 9 მედალი მოიხვეჭა.

**17-წლამდელები** – გიგა ოდიკაძე (90 კგ): **„ოქრო“** – ატაცი და ორჭიდი, **„ვერცხლი“** – აკვრა.

**15-წლამდელები** – რევაზ მილდიანი (55 კგ); **„ოქრო“** – ატაცი, **„ვერცხლი“** – ორჭიდი; ლერი ნეფარიძე – **„ბრინჯაო“** (ატაცი). **გოგა ჯაჯვანი** (61 კგ): **„ვერცხლი“** – ატაცი და ორჭიდი, **„ბრინჯაო“** – აკვრა.

ტალანტი

# იმედი ხვალის



**ქართული კალათბურთის იმედი სანდრო მამუკელაშვილი გიგანტური ნაბიჯებით პროგრესირებს ოკეანის გაღმა და ლას ვეგასში გამართული დრაფტიდან ორიოდე თვეში უკვე იქაური მედიის რჩეულთა შორის ფიგურირებს.**

საილუსტრაციოდ „იუესეი თუდეის“ მიერ დასახელებული ერთ-ერთი სიმბოლური ხუთეულიც კმარა, რომელშიც ნბა-ს საზაფხულო ლიგის მონაწილე ჩვენი თანამემამულეც შეიყვანეს. შეგახსენებთ, რომ იგი ასოციაციის მოქმედმა ჩემპიონმა „მილუოკიმ“ 54-ე ნომრად აიყვანა.

ხალიჩა

# რუსეთში – უპიმნოდ

**ბაშკირეთის დედაქალაქ უფაში დასრულებულ მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატზე საქართველოს ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრებმა მხოლოდ ორი ვერცხლისა და ერთი ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა.**

საპატიო კვარცხლბეკის მეორე საფეხურზე **დიეგო** (63 კგ) და **გიორგი** (72 კგ) **ჩხიკვაძეები** ავიდნენ, ხოლო **საბა მამალაძე** (82 კგ) მესამე პრიზიორი გახდა.

„კლასიკოსებამდე“ რუსულ ხალიჩაზე ცხრა „ჯვაროსანმა“ იასპარეზა „თავისუფალთა“ ფორუმზე, თუმცა ჯილდოს ერთიც კი ვერ შესწვდა.

ელიტა




# თურქეთში დასახელდება

**დღეს სტამბოლი 2021-2022 წლების სეზონის ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის წილისყრას უმასპინძლებს, თუმცა ბოსფორის სანაპიროზე კიდევ უფრო მნიშვნელოვანი მოვლენაც მოხდება – უეფა 2020-2021 წლების სეზონის ევროპის საუკეთესო ფეხბურთელსა და მწვრთნელს გამოავლენს. ნომინანტები:**

**ფეხბურთელი** – კევინ დე ბრუინი („მანჩესტერ სიტი“), ნგოლო კანტე („ჩელსი“), ჟორჟინიო („ჩელსი“);

**მწვრთნელი** – თომას ტუხელი („ჩელსი“), ხოსეპ გვარდიოლა („სიტი), რობერტო მანჩინი (იტალიის ნაკრები).

# სამაგალითო პედაგოგი და ჟურნალისტი ციცინო ბოჭორიშვილი



გარდაიცვალა ცნობილი ჟურნალისტი, მეცენატი და საზოგადო მოღვაწე ციცინო ბოჭორიშვილი. დაიბადა 1946 წელს სოფ. ზოდში (ჭიათურის რ-ნი). თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, 1966-86 წლებში, მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეში ჩამოაყალიბა და ხელმძღვანელობდა ახალგაზრდა ჟურნალისტთა და ნორჩ შემოქმედთა კლუბ „ივერიას“, სადაც არაერთი თაობა აღზარდა. ახალგაზრდებს შეაყვარა საქართველოს სხვადასხვა კუთხე, სადაც ექსპედიციებს ატარებდნენ და შემდგომ სპეციალურ გვერდებს ამზადებდნენ: „ახალგაზრდა კომუნისტში“, „სოფლის ცხოვრებაში“ და რაიონულ გაზეთებში. სასახლეში აწყობდა შეხვედრებსა და დაუვიწყარ ღონისძიებებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია დიდ მწერალთან კონსტანტინე გამსახურდიასთან შეხვედრა, რომელიც პრესამ და ტელევიზიამ გააშუქა.

1989 წელს დააარსა საქართველოს ჟურნალისტთა დამოუკიდებელი ასოციაცია, რომლის ერთ-ერთი დამფუძნებელი მერაბ კოსტავაც გახლდათ. უშვებდა ლიტერატურულ-პუბლიცისტურ გაზეთს „ხმა ერისა“, აღადგინა საყმაწვილო გაზეთი „გიმნაზიის ყვავილი“, სადაც არაერთი ნიჭიერი მოზარდი გამოვლინდა. მასში შუქდებოდა განათლების სისტემასა და სკოლებში არსებული პრობლემები. გამოცემდა ინგლისურენოვან გაზეთ „ჯორჯიას“. იგი იყო საქართველოს და სსრკ ჟურნალისტთა კავშირი წევრი, მრავალი პუბლიცისტური წერილის ავტორი, შექსპირისა და ოქროს კალმის პრემიების ლაურეატი, ავტორი ლექსების კრებულისა „სონეტები“. განსაკუთრებით აღსანიშნავია სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის ილია II-ის სახელობის პრემიის ლაურეატობა.

ქალბატონი ციცინო გამოირჩეოდა დიდი ქველმოქმედებით. ჩაჰქონდა წიგნები და ჟურნალ-გაზეთები თუშეთის, სვანეთის, ბარისახოს ბიბლიოთეკებში, რაც ადგილობრივ მოსახლეობას სჭირდებოდა. იგი ყოველთვის იდგა ეროვნული ინტერესების სადარაჯოზე და აქტიურად იბრძოდა მარნეულის მიწების, სასაზღვრო ზოლის დასაცავად. ეხმარებოდა ქისტებსა და ხევსურებს მათი პრობლემების გადაწყვეტაში. ეხმარებოდა ბავშვთა სახლებს, ჩუქნიდა ტელევიზორებს, სათამაშოებსა და პროდუქტებს. მარნეულში ჟურნალისტებს აჩუქა სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთები.

ციცინო ბოჭორიშვილმა დააარსა საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი „გზა მომავლისკენ“. მისი ინიციატივით გაიცა მნიშვნელოვანი პრემიები, რომლებიც მწერალთა სახლში 2017 წ. 22 დეკემბერს, საზეიმო საღამოზე გაიცა: ილია მართლის პრემია (გამოჩენილ პოეტს რეზო ამაშუკელს), ვახტანგ VI პრემია (ცნობილ იურისტს მ. უგრეხელიძეს), ვაჟა-ფშაველას პრემია (ცნობილ პოეტებს ერეკლე საღლიანს, თემურ ჩალაბაშვილს, პლატონ ჩადუნელს), ილია ჭავჭავაძის პრემია (თეატრმცოდნესა და ჟურნალისტს გუბაზ მეგრელიძეს).

წელს დააარსა ახალი პრემია „ოქროს კალამი“, რომელიც გადასცა უხუცეს მეცნიერს სიმონ არველაძესა (ქუთაისში მისი 100 წ. იუბილეზე) და ცნობილ პოეტს ტარიელ ხარხელაურს. ქალბატონმა ციცინომ იცოდა ჭეშმარიტი ნიჭის ფასი და ჟურნალისტთა ასოციაციამ და ფონდმა „გზა მომავლისკენ“, ცნობილ პოეტსა და საზოგადო მოღვაწეს ერეკლე საღლიანს სახალხო პოეტის საპატიო წოდება მიანიჭა.

რიყეზე არსებული ჟურნალისტთა დამოუკიდებელი ასოციაცია ახალგაზრდა შემოქმედთა ნამდვილი თავშესაყარი გახლდათ. აქ უსასყიდლოდ ეთმობოდათ ადგილი ახალგაზრდა ნიჭიერ მხატვრებს, რომლებსაც სახელოსნო არ ჰქონდათ, სამაგიეროდ ჩამოყალიბდნენ ნიჭიერ შემოქმედებად, რომლებსაც წარმატებული გამოფენები ჰქონდათ საქართველოსა და საზღვარგარეთის საგამოფენო დარბაზებში. გაზეთ „ხმა ერისაში“ დაბეჭდილმა წერილებმა დაიმსახურეს გაეროსა და თბილისის მერიის პრემიები. ახალგაზრდა პოეტს თემურ ცერცვაძეს გამოუცა ლექსების კრებული. არაერთ მოქალაქეს (რომლებიც დახმარებას სთხოვდნენ) დაუდგა მხარში უსამართლობის აღმოსაფხვრელად...

ქალბატონი ციცინო ბოჭორიშვილი ცნობილი პედაგოგი, ჟურნალისტი და საზოგადო მოღვაწე გახლდათ, რომელიც ენერგიასა და საკუთარ სახსრებს არ იშურებდა ქართული კულტურის, ახალგაზრდა შემოქმედთა პრობლემების გადასაჭრელად. მისი ცხოვრება სამაგალითოდ დარჩება მომავალ თაობებს.

**საქართველოს ჟურნალისტთა დამოუკიდებელი ასოციაცია, საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი „გზა მომავლისკენ“**

# ვაჟა ღარიბაშვილი



ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ 84 წლის ასაკში მოულოდნელად გარდაიცვალა ლაბორატორიის ხელმძღვანელი, ღვაწლმოსილი მეცნიერი ვაჟა ღარიბაშვილი.

დაიბადა 1937 წელს ქ.თბილისში. 1960 წელს წარმატებით დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი ინჟინერ-მეტალურგის კვალიფიკაციით და იმავე წელს მუშაობა დაიწყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიის ინსტიტუტში (ამჟამად სსიპ-ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტი). ინსტიტუტში მან განვლო მეცნიერისათვის ჩვეული იერარქიული საფეხურები უმცროს მეცნიერ-თანამშრომლიდან მთავარ მეცნიერ-მუშაკის თანამდებობამდე და გახდა ინსტიტუტის ერთ-ერთი წამყვანი დანაყოფის — ბორისა და მისი ნაერთების ლაბორატორიის ხელმძღვანელი.

მკითხველი რომ უკეთ გაერკვეს ბატონი ვაჟას მეცნიერულ საქმიანობაში, მცირე განმარტებას გავაკეთებთ. ბორი, პერიოდული სისტემის მეხუთე ელემენტი, სუფთა სახით ჯერ კიდევ გეი-ლუსაკმა მიიღო 1808 წელს, მაგრამ ბორის მეორე „სიცოცხლე“ მისი უნიკალური თვისებების აღმოჩენის შემდეგ დაიწყო, რაც მეცნიერებისა და ტექნიკის ახალი დარგების განვითარებასთანაა დაკავშირებული. სუფთა ბორი მაღალტემპერატურული ნახევარგამტარია. ბორის ბუნებრივი იზოტოპი $^{10}B$ თბური ნეიტრონების საუკეთესო შთანმთქმელია და ამის გამო ფართოდ გამოიყენება ატომურ ენერგეტიკაში მარეგულირებელი ღეროების, ნეიტრონული მთვლელების და სხვათა დასამზადებლად. ამან განაპირობა ბორისა და მისი ნაერთების ღრმად შესწავლისა და იზოტოპური ბორის სამრეწველო მასშტაბებში მიღების აუცილებლობა. 1966 წ. თბილისში აშენდა სტაბილური იზოტოპების სარექტიფიკაციო კოშკი და იქვე დაფუძნდა სტაბილური იზოტოპების ინსტიტუტი.

სწორედ მაშინ დამუშავდა მეტალურგიის ინსტიტუტში იზოტოპ $^{10}B$-ით ლეგირებული სპეციალური ფოლადების მიღების ტექნოლოგია, რომლის ერთ-ერთი აქტიური მონაწილეც ბატონი ვაჟა გახლდათ. ახალმა ფოლადებმა ფართო გამოყენება პოვა მელიკესის ბირთვული ენერგეტიკული რეაქტორების მშენებლობაში. ამის შემდეგ მეცნიერება ბორზე ინსტიტუტის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად იქცა, ხოლო სამუშაოს შედეგები ვაჟას სადისერტაციო ნაშრომს დაედო საფუძვლად და ბატონი ვაჟას სამომავლო მეცნიერული ინტერესების ლეიტმოტივი გახდა. ის ბოლომდე ერთგულად ემსახურებოდა ბორის პრობლემას: საფუძვლიანად იკვლევდა ბორშემცველი მასალების მიღების ტექნოლოგიებს და, მათ შორის, ლითონკერამიკული მასალების მიღების საიდუმლოებას.

ბატონი ვაჟა გახლდათ ეროვნული ენერგიით დამუხტული, რაინდული თვისებებით შემკული უაღრესად სათნო პიროვნება, დიდებული მგალობელი და საინტერესო მთხრობელი, ადრეულ წლებში წარმატებული სპორტსმენი.

ბატონი ვაჟას სახით ჩვენმა საზოგადოებამ დაკარგა გამორჩეული მეცნიერი და შესანიშნავი მოქალაქე, ღარიბაშვილების დიდმა ოჯახმა — ბრძენი წინამძღოლი, ერთგული მამა და მოსიყვარულე ბაბუა, ჩვენმა მეტალურგიულმა სამეგობრომ — ულალატო მეგობარი, ხოლო გუდაურმა — თხილამურების დიდი მოტრფიალე, სადაც თხილამურებზე ამხედრებული ეს მოხუცი კაცი ყმაწვილური ჟინიანობით სრიალებდა თოვლში გასულ ზამთარს...

COVID 19 შემოტევამ მეტად დაამძიმა ბატონ ვაჟასთან ურთიერთობა, მისი მეგობრები, რომელთა წრეშიც მან გაატარა შეგნებული ცხოვრების უდიდესი ნაწილი, ცნობილი შეზღუდვების გამო ხელ-ფეხშეკრულები აღმოჩნდნენ მწარე რეალობის წინაშე. ინსტიტუტის მთელი შემადგენლობა ამ მცირე, ფრაგმენტული მოსაგონარით ემშვიდობება ბატონი ვაჟას მაღალ სულს და მწუხარებას გამოთქვამს, რომ ქვეყანაში COVID 19-ით გამოწვეული შეზღუდვების გამო სათანადოდ ვერ გამოიგლოვა ჩვენი საზოგადოების ეს ღირსეული წევრი.

**ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტი.**

# „ღიმილის ბიჭი“ „ბოლოკა“ გარდაიცვალა





საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო მწუხარებას გამოთქვამს გოჩა ლომიას გარდაცვალების გამო და უსამძიმრებს მის ოჯახსა და ახლობლებს.

გოჩა ლომიამ მაყურებელს თავი ქართულ მხატვრულ ფილმში „ღიმილის ბიჭები“ შესრულებული ერთ-ერთი მთავარი როლით დაამახსოვრა და ხალხმა მას სიყვარულით „ბოლოკა“ შეარქვა. იგი ასევე მონაწილეობდა რეზო ჩხეიძის ფილმში „ნერგები“ და თემურ ფალავანდიშვილის ფილმში „მოხეტიალე რაინდები“.

გოჩა ლომიას გარდაცვალება დიდი დანაკლისია ქართული საზოგადოებისა და ქართული კინოსთვის.

# ვმასპინძლობთ პოლონეთის უმსხვილესი მედიასაშუალებების წარმომადგენლებს

პოლონეთიდან ტურისტული ნაკადების გაზრდის მიზნით ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია აქტიურ კამპანიას აგრძელებს. ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ინფორმაციით, მათი ორგანიზებითა და პოლონეთში საქართველოს საელჩოს შუამდგომლობით, საქართველოში პოლონეთის წამყვანი მედიის 11 წარმომადგენლისათვის პრეს-ტური ტარდება.

**„პოლონეთი ჩვენი ქვეყნისთვის წარმოადგენს ერთ-ერთ ძალიან მნიშვნელოვან ტურისტულ მიმართულებას. მიუხედავად კოვიდ-პანდემიისა, ჩვენ ვხედავთ, რომ ტურისტული ნაკადები მზარდია პოლონეთიდან და არა მხოლოდ. ძალიან დადებითი დინამიკა გვაქვს ავიამიმოსვლების კუთხით პოლონეთთან. ამ ეტაპზე ჩვენ უკვე ვასრულებთ 4 ქალაქის მიმართულებით პირდაპირ ავიამიმოსვლას, რაც რა თქმა უნდა, კიდევ უფრო ხელს უწყობს ტურისტული ნაკადების შემოდინებას ჩვენს ქვეყანაში. მნიშვნელოვანია, რომ ჩვენ სწორი კოვიდ-რეგულაციებით შემოვიყვანოთ მეტი პოლონელი ტურისტი ქვეყანაში უსაფრთხოდ და ფრთხილად. ამავდროულად ჩვენ ჩამოვიყვანეთ ძალიან ცნობილი ჟურნალისტები, ტელეწამყვანები, მათ შორის როგორიც არის NAtional Geographic. რა თქმა უნდა, ეს ხელს შეუწყობს ჩვენი ქვეყნის ცნობადობის გაზრდას, უსაფრთხო პოზიციონირებას, სტუმართმასპინძლობის წინ წამოწევას, რომლითაც ჩვენ ძალიან ვამაყობთ და რა-ღა თქმა უნდა, ეს არის ის ძირითადი მიზეზი, რისთვისაც ჩვენს ქვეყანაში ჩამოდიან არამხოლოდ პოლონელი, არამედ სხვა ტურისტებიც“,** — განაცხადა ეკონომიკის მინისტრის მოადგილემ მარიამ ქვრივიშვილმა.



## ფესვთაგან მოსდგამს...

დედა ნახე, მამა ნახეო, ტყუილად როდი უთქვამთ ჩვენს წინაპრებს.

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, „ავერსის“ კლინიკის პროფესორის **შორენა წიკლაურისა** და ილიას უნივერსიტეტის სტუდენტთა საყვარელი უცხოენოვანი ლექტორის **თეიმურაზ ბარკალაიას** ოჯახში იზრდება ვაჟკაცი, თვალნათლივ რომ გვარწმუნებს ძველ ჭეშმარიტებაში: „ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულია“.

ჩვენი რედაქციის ერთგული მეგობრის **ბადრი ბარკალაიასა** და კდემამოსილი ქალბატონის **დალი როგავას** სიყრმის შვილიშვილი გატაცებულია კრივით, კარატეთი და რაგბით, ხოლო განსაკუთრებით კრიშტიანუ რონალდუსთან ერთად გადაღებული ფოტორელიკვია ეძვირფასება, რომელსაც ლეგენდარული პორტუგალიელის თბილისში, ვიტალი დარასელიას სახელობის „დინამოს“ ბავშვთა საფეხბურთო აკადემიის გახსნაზე ჩამოსვლისას „ჩაავლო“.

ახალ სასწავლო წელს 16 წლისა ხვდება **ალექსანდრე ბარკალაია.**

**დაბადების დღეს გილოცავთ, სანდრიკ!**

## მარიამობის მადლი...

**28 აგვისტოს საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია მარიამობას დღესასწაულობს.**

ნიშანდობლივია ის, რომ ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიწიერი ცხოვრება ღვთის მადლით იყო გაბრწყინებული. იგი მოციქულთა მსგავსად სიტყვით და ლოცვით განამტკიცებდა ჩვენს დედაეკლესიას, მთელ ქრისტიანულ სამყაროს...



ქრისტიანები დედა ღვთისმშობელს უდიდეს პატივს მიაგებდნენ, ამიტომ მის ყოველ სიტყვას და საქმეს იმახსოვრებდნენ. სწორედ ქრისტიანებმა შემოგვინახეს ქალწული მარიამის ხასიათის და გარეგნობის აღწერაც. იესო ქრისტეს ზეცად ამაღლებიდან მე-17 წელს 28 აგვისტოს მიიძინა მარიამ ღვთისმშობელმა, წმინდა იოანე ღვთისმეტყველის სახლში, სადაც იგი მაცხოვრის ჯვარცმის შემდეგ ცხოვრობდა... ყოვლადწმინდა ღვთისმშობელს არც მიძინების შემდეგ მიუტოვებია ქვეყნიერება და მეოხია ყველასი ვინც მას მიმართავს: „დედუფალო, გვაცხოვნე ჩვენ და შეგვეწიე ჩვენ!“

**P. S. დღევანდელ დღესასწაულს და დაბადების დღეს ვულოცავთ დიდუბის ტაძრის გამორჩეულ მოძღვარს, მამა დავითს, მინდა ვუსურვო ჯანის სიმრთელე, წელთა სიუხვე და მრავალჟამიერ სიცოცხლე! ამინ!**

**გიული ლიპარტია**

## აიცრა და მილიონერიც გახდა

**მიჩიგანის შტატის მკვიდრმა კრისტინ დიუვალმა ვაქცინირებულთათვის გამართულ ლატარიაში 2 მილიონი დოლარი მოიგო. კრისტინ დიუვალის განცხადებით, ჯეკპოტის თანხით ის „ოცნებების ასრულებას გეგმავს“ — თანხის ერთი ნაწილით შვილების სწავლის საფასურს გადაიხდის და სახლის რემონტს დაასრულებს, დანარჩენს კი ფსიქიკური ჯანმრთელობის სამსახურებს გადაურიცხავს.**

მიჩიგანში ვაქცინირებულთა შორის ლატარია ივლისში წამოიწყეს, რათა ვაქცინაციაში მეტი ადამიანი ჩართულიყო. ყოველდღიურად ვაქცინირებულებს შორის 50 ათასი დოლარი თამაშდებოდა. გარდა ამისა, 12-17 წლის ასაკის 9 მოსწავლემ, რომლებმაც აცრა გაიკეთეს, 4-წლიანი სასწავლო სტიპენდიები მიიღო.

## ყოველგვარი რეკლამა გაზეთს ჰაერივით სჭირდება!

**განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 103 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.**

**ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.**

**(შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).**



## ქართულმა პოლიფონიამ შვეიცარიის ალპები დაიპყრო

**შვეიცარიის ალპებში, ქალაქ სიონის მთავარ საკათედრო ტაძარში ანსამბლ „რუსთავის“ მომღერლებმა კონცერტი გამართეს. კოვიდპანდემიის მიუხედავად, ქართული პოლიფონიის მოსასმენად უამრავმა მსმენელმა მოიყარა თავი. მათ შორის იყვნენ შვეიცარიაში მცხოვრები ემიგრანტებიც.**

მომღერლებმა, ტრადიციული პროგრამის გარდა, გია ყანჩელის „წუთისოფელი“ მსოფლიოში ცნობილ მევიოლინეებთან, პაველ ვერნიკოვთან და სვეტლანა მაკაროვასთან ერთად შეასრულეს. ანსამბლი შვეიცარიაში საერთაშორისო ფესტივალის ფარგლებში მიიწვიეს, რომელიც ორმოცდამეთვრამეტედ ჩატარდა. ქართველი მომღერლები კი ფესტივალში უკვე მეოთხედ მონაწილეობენ. საფესტივალო პროგრამის საპატიო სტუმრები იყვნენ ანზორ ერქომაიშვილისა და გია ყანჩელის მეუღლეები. სიონის ფესტივალი სამომავლოდ საქართველოშიც შეიძლება გაიმართოს. წელს ფესტივალზე, ანსამბლ „რუსთავის“ გარდა, წარმოდგენილი იყო რეზო გაბრიაძის ბოლო ფილმი და თბილისის მარიონეტების თეატრის სპექტაკლიც.

## აღმოაჩინეს იშვიათი გიგანტური მარჯანი



**მოყვარულმა მყვინთავებმა ავსტრალიის დიდ ბარიერულ რიფზე გიგანტური და უძველესი მარჯანი აღმოაჩინეს. მარჯანი კუნძულ გულბუდისთან, 2,1-7,4 მეტრის სიღრმეზე მდებარეობს. მისი სიმაღლე 5,3, სიგანე კი 10,4 მეტრია. ამ მონაცემებით ის დიდი ბარიერული რიფის რეკორდსმენია.**

აღმოჩენის შემდეგ მისი შესწავლა სპეციალისტებმა დაიწყეს. მათი შეფასებით, მარჯნის ასაკი 421-428 წელია. სიცოცხლის მანძილზე მან 80 მსხვილი ციკლონი, გაუფერულება და სხვა საფრთხეები გადაიტანა. ეს ავსტრალიური რიფის ერთ-ერთი ყველაზე ძველი მარჯანია.

## ავიამზიდის მეთაური ქალი გახდა

**აშშ-ში, ქვეყნის ისტორიაში პირველად, ბირთვული ავიამზიდის მეთაური ქალი გახდა. კაპიტანი ემი ბაუენშმიდტი ავიამზიდ Abraham Lincoln-ის მეთაურად ჯერ კიდევ დეკემბერში დაინიშნა, მოვალეობის შესრულებას კი 23 აგვისტოს, საზეიმო ცერემონიის შემდეგ შეუდგა.**




© Mc3 Jeremiah Bartelt/Planetpix/ZUMAPRESS.com/picture alliance

ბაუენშმიდტი 49 წლისაა. ის ქალაქ მილუოკიში დაიბადა. როცა ქალებს სამხედრო ხომალდების ბორტზე მსახურების უფლება მისცეს, ის სამხედრო-საზღვაო აკადემიის ერთ-ერთი პირველი კურსდამთავრებული იყო. შემდეგ სამხედრო პილოტად მუშაობდა, 2016 წელს კი Abraham Lincoln-ის მეთაურის თანაშემწედ დაინიშნა. ის პირველი ქალი იყო, რომელმაც ეს თანამდებობა დაიკავა.

## გრენლანდიაში პირველად გაწვიმდა

**გრენლანდიაში მეტეოდაკვირვების ისტორიაშია პირველად გაწვიმდა. კუნძულისთვის ჩვეული თოვლის წვიმით შეცვლამ ტემპერატურის რეკორდულმა მატებამ გამოიწვია.** გასულ კვირას ჰაერის ტემპერატურამ — გრადუსს გადააჭარბა. ასეთი რამ კუნძულზე ბოლო 10 წლის განმავლობაში მესამედ მოხდა.

**„ეს ცვალებადი კლიმატის პირობებში უბრალოდ 1-2 თბილი ათწლეული არ არის. ეს უპრეცედენტო მოვლენაა“,** — განაცხადა კოლორადოს უნივერსიტეტის მეცნიერმა ტეკსკამბოსმა. სპეციალისტები ასევე აღნიშნავენ, რომ ბოლო წლების განმავლობაში კუნძულზე უჩვეულო კლიმატური მოვლენები გახშირდა.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA

ვაჟა ფშაველას №48
ტელ: 239-03-43

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3

კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323

2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 30 აგვისტოს**

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 3.1191; ევრო - 3.6609;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 4.2822;
100 რუბლი - 4.2193; თურქული ლირა - 0.3699;
აზერბაიჯანული მანათი - 1.8339;
1000 სომხური დრამი - 6.3427.

**ამინდი 26 აგვისტოსთვის**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | | | |
| ბარი - | ღამე | +17, | დღე | +36 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +12, | დღე | +33 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | | | |
| ბარი - | ღამე | +18, | დღე | +34 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +14, | დღე | +33 |
| თბილისი: | ღამე | +21, | დღე | +35 |

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge